კონსპექტი

საქართველოს ისტორიიდან

შედგენილი ა. ქუთათელაძისგან

ტფილისი
ფიქრობს ეროვ. ბიბ. ტფილ. ეპარქიალურ ბეჭდვითი.
1900

Дозволено цензурою. Тифлисъ, 16 марта 1900 г.

ქართველ ერის დასაწყისი იკარგება ისტორიულ წინა-საუკუნოების წყვდიადში. ჯერ კიდევ არ ვიცით, თუ რომელ ენის მოდგმასთან და რომელ ტომთან აქვს კავშირი ქართველ ერს, თუმცა ამ გვარი კავშირი და გვარ-ტომობა სხვების შესახებ კარგა ხანია, დადგენილი და დამტკიცებულია მეცნიერებისგან. ამიტომაც, საქართველოს ისტორიის ის ნაწილი, რომელიც ძველ დროს შეეხება, უფრო ზღაპრულია, რადგან ის ჯერ არ არის გატარებული კრიტიკის ქარ-ცეცხლში. ისტორიაში მხოლოდ ერთია დადგენილი, რომ კაცობრიობის პირველი აკვანი ყოფილა ზემო-აზია, საიდანაც გაბნეულა სხვა-და-სხვა ერი სხვა-და-სხვა კუთხეებში. ოდესმე ჩვენი ერიც იქ ყოფილა და იქიდან მერე შემოსულა მცირე აზიაში, სადაც მის ბინადრობის კვალს ეხლაც უჩვენებენ მეცნიერები. ამ ბინადრობას მეცნიერები ამყარებენ გეოგრაფიულ სახელებზე და ნაშთებზედ. მცირე აზიიდან ქართველი ერი გაიშალა შავი-ზღვისაკენ და კავკასიის მთის სამხრეთით. აღმოსავლეთით კი ჰქონია ჩვენ ქვეყანას კასპიის ზღვა.

ამ საზღვრებში არის მთები: ლიხის, არსიანის, მესხეთის, ჭანეთის, თრიალეთის, ჯავახეთის, ერუშეთის, სომხითის მთები, განჯის ?თა, მცირე კავ-

კასი (ცროლის მთა), არჯევანის მთა, ცივ-გომბორის მთა.

მდინარეები: მტკვარი, რომელიც გამოდის არსიანის მთის ბოლოდან, სადაც მას ჰქვია პარხალი, და შესდგება ორ წყაროსაგან: ალმასის-წყარო და მარგალიტის-წყარო. ჯერ ეს მდინარე მოეშურება ჩრდილოეთისაკენ და ტაშის კართან შემოტრიალდება აღმოსავლეთისკენ. ტფილისამდის ეგრე დის. მერე მოუხვევს სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ და ჩადის გურგანის ანუ კასპიის ზღვაში. მისი შენაკადებია: ჯავახეთის მტკვარი, რომელიც შედგება ჯავახეთის წყლისაგან და ფარავანის წყლისაგან. პირველი გამოდის ერუშეთის მთიდან და მეორე—ფარავნის-ტბიდან. არსიანის მთიდანვე გამოდის ფოცხოვი*), რომელიც ჩადის მტკვარში მარცხენა ნაპირიდან. ამავე ნაპირიდან ჩადიან მტკვარში ლიახვი, ქსანი, არაგვი, იორი და ალაზანი კავკასიონის მთიდან. მარჯვენა ნაპირიდან, ჯავახეთის-მტკვრის გარდა, ჩადის ალგეთი, ხრამი. ეს ორივე გამოდის თრიალეთის მთიდან. ხრამს ერთვის დებედა, მაშავერა; მაშავერას ერთვის ფინეზაური. ქვეით არის აქსტაფა. ქვემო-წელზე მტკვარს ერთვის არეზი (რახსი). ეს მდინარეები შეადგენენ მტკვრის სისტემას. ამ სისტემას ყოფს რიონის

---

*) ფოცხოვს შეერთვის გურიის საზღვრიდან ქვაბლიანი და ფოცხის-წყალი; აპარის-მთიდან—ჯაყის წყალი. ესენი არიან შენაკადები მარცხენა ნაპირიდან.

სისტემისგან ლიხის მთა (ან ღადოს მთა) და ჭოროხის სისტემისგან—არსიანის და მესხეთის მთა. რიონში ჩადის ყვირილა, ხანის-წყალი, ცხენის-წყალი, ტეხური; ყვირილა გამოდის ლიხის მთიდან. ხანის წყალი—ფერსათის მთიდან, ცხენის-წყალი და ტეხური—სვანეთის მთებიდან. იქიდანვე გამოდის ხობი, რომელიც ჩადის შავ-ზღვაში; ენგური კი გამოდის კავკასიონის მთიდან, გადაჭრის სვანეთს და ისე ჩავა შავ-ზღვაში. ენგურის გალმა არის, ორხუა, კოდორი და კაპეტი. ეს სამივე უკანასკნელი გამოდის კავკასიონის მთიდან და ჩადის შავ-ზღვაში.

ჭოროხი მოდის გურჯი-ბოლაზის მთებიდან და რიონი კი—ფასის-მთიდან, რომელიც არის დიდ კავკასიონის ტოტი.

ძველი ქალაქები: არმაზი (ქართლი, ჰარმოზიკა), სევსამორა (ეხლანდელი წიწამურა), მცხეთა, უფლის-ციხე (მტკვრის მარცხენა ნაპირზე გორის მახლობლად); გაჩიანი (სანადირო ქალაქი, ცოორტავი) ხრამის და მაშავერის შესართავთან—ციხე-დიდი (ქართლის-ხევზე), ოლთისი.

ციხეები: ორბეთი—ხრამს და ჭივჭივას შუა მეტად მაღალ კონცხზე, მტკვრის-ციხე (ხუნანი, გატეხილი-ხიდი, ყის-ყალა)—ხრამს და მტკვრის შესართავთან, დმანისი—ფინეზაურის და მაშავერის შესართავთან საშინელ მაღალ-კონცხზე, ბირთვისი (ბუნებით კლდე—გამოქვაბული) და ფარცხისი—მის მისავალს. ორივე ეს ციხე ალგეთის მარცხენა ნაპირზეა.

უფლის-ციხეა გორის მახლობლად, ციხე-დიდი— მცხეთის მახლობლად; კასპის-ციხე, ოძრხის-ციხე, სარკინეთის-ციხე და ურბნისის-ციხე. ამას გარდა იყო კიდე ძველი ქალაქები: თუხარისი (ზემო-ქართლში), კასპი, ოძრხე (აბასთუმანი), ურბნისი, ჩელთა (შილდა), რიშა (რუსთავი, ბოსტან-ქალაქი, ანუ ნაგები), წუნდა (ზემო-ქართლში), არტანი (ქაჯთ-ქალაქი). კარი იყო ორი: არაგვის-კარი (დარიალი, ხევის-კარი) და მეორე—ზღვის-კარი (დარუბანდი, დახშა-კარი).

რადგან ყველა ერის ისტორიის დასაწყისი ზღაპრულია, არც ჩვენ აგვცდა ეს მოვლენა. „ქართლის ცხოვრება“ ამბობს, რომ თარგამოსი იყო იაფეთის შვილი-შვილიო. თარგამოსის ერთი რვათაგანი და უფროსი შვილი ყოფილა ჩვენი მამათ-მთავარი ქართლოსი, რომელსაც აუშენებია ქალაქი ქართლი (შემდეგ—არმაზი). ქართლოსს ყავდა ხუთი შვილი, რომელთაგან უფროსი იყო მცხეთოს. ამან ააშენა ქ. მცხეთა.

მცხეთოსს ყავდა სამი შვილი, რომელთაგან უფროსი იყო უფლოს. ამან ააშენა უფლის-ციხე. ასე მოგვითხრობს „ქართლის-ცხოვრება“ ამ ზღაპრულ ამბავს.

გ ა მ გ ე ო ბ ა

რადგან ჩვენი ქვეყანა-მთიანია, ამიტომაც დიდ-ხნის განმავლობაში ქართველ ტომს განცალკე-

ვებულად უცხოვრია: თვითეული კუთხე ან ხეობა თვითონვე განაგებდა თავის სათემო საქმეებს (სასულიეროს და საეროს) თავის ამორჩეულ პირების ან მამასახლისების შემწეობით.

ეს კუთხეებია:

1) ჭანეთი ან ძველი კაბბადოკია ძევს მცირე აზიის შუაგულში. მისი საზღვრებია: ჩრდილოეთით შავი-ზღვა, დასავლეთით—ჭალისი, სამხრეთით—კილიკიის მთები და აღმოსავლეთით—კოლხიდა, ბასიანი და კარნიფოლი (აზრუმი).

სტრაბონის სიტყვით (66-24 ქრისტეს წინ) კაბბადოკია განიყოფებოდა ორ ნაწილად: ხმელეთის კაბბადოკიად და შავი ზღვის კაბბადოკიად. ორივეს ეოფდა ჭანეთის მთა. პირველი მდებარეობდა სამხრეთით და იყო უწყლო, უტყეო, ხმელი და უნაყოფო. აქ ჩამოდის მდინარეები: ჭალისი, ევფრათა, პირამი (ჯეიხუნი), საროსი (სარან-სუ). ხმელეთის კაბბადოკია შეადგენდა ათ საერისთაოს. მისი დედა ქალაქი იყო თიანი (ნიგდე) თიანეთის საერისთავოში და სატახტო ქალაქი კი მაზაკა (კესარია). ეს ქვეყანა ჯერ მონებდა ასურეთს, მერე—მიდიელებს და შემდეგ—სპარსელებს. ხალხი იყო მეტად მეომარი, უშიშარი და თითქმის ველური. როცა სპარსეთი შემცირდა, აქაურ ერისთავებმა მეფეების ხარისხი მიიღეს. არიარატ II იყო ალექსანდრე მაკედონელის თანამედროვე. არიარატ VIII იყო მიტრიდატ VII თანამედროვე*).

17 წელს ქრისტეს შემდეგ იმპერატორმა ტიბე-

*) მიტრიდატი მეფობდა პონტოში.

რომ მოსპო მეფობა აქაც და ზღვის კაბადოკიაშიც. ამის შემდეგ კაბადოკია ემორჩილებოდა ბიზანტიას. პირველ საუკუნეში აქ მოედვა ქრისტიანობა. აქედან გამოვიდენ ბასილი კესარიელი, გრიგოლ ნოსელი და მრავალი სხვა. ორივე კაბადოკიის ხალხი იყო ერთი ტომის და დაპარაკობდა ერთ ენაზე. თვითონ სტრაბონიც ამ ქვეყნელი ყოფილა: მისი სამშობლო იყო ამასია, რომელიც ძევს ირისეს ნაპირზე პონტოში, და დედამისი ყოფილა გვარად ჭანი. პლინიც (29-76) ამბობს, რომ კაბადოკია იყო ერთი და ყოველად განუყოფელი ქვეყანაო. რომ ხმელეთის კაბადოკიის მცხოვრებლები ჭანები ყოფილა, ეს მტკიცდება შემდეგით. დღესაც ხმელეთის კაბადოკიაში შენახულია ქართული სახელები: თიანეთი, ჩხორუმი (ამასიის მახლობლად), თავია, მუუური, თამარმე, ურგუბა, (ორგუბე) სარმურ-სახლი, ჭიჭკის-მთა, თეჯირის მთა, მაცურის მთა, ჭილობის მთა, ჩხატალი, ორთავის-მთა, ფარხალი, საროს-მდინარე, დედა-მთა, ქუთაია, გომიში (კამბეჩი მეგრულად), ჭალა, ტაზის-კარი (ტაშის კარი), თავშანი, მენდერი, (მდინარე), ბანა, ენგური, კარი-ბაზარი და სხ. ამას გარდა, ზნე, ჩვეულება და სარწმუნოება დანარჩენ ქართველების და მათი ერთი და იგივე იყო. აქედან ცხადად ჩანს, რომ აქ ცხოვრებდენ მაშინ ქართველები, და ამიტომაც აქედან მოსულმა წმ. ნინომ და წმ. მამებმა ადვილად იწყეს ქადაგება ჩვენში, რადგან, შეუძლებელია, მათ ქართული ენა არ სცოდნოდათ და ისეთი ნაყოფი კი მოეტანათ.

შავი-ზღვის კაბბადოკია განიყოფებოდა ორ ნაწილად. 1) პონტო და 2) კოლხიდა.

პონტო არის მთიანი, ტყიანი, უხვი მდინარეებით და მადნით: დასავლეთით აქვს მდინარე ჭალისი, რომელსაც სათავე აქვს ნიკოპოლის მახლობლად გემის-მთაში და ერთვის შავ-ზღვას. ამ მდინარის მარჯვენა ნაპირზე სცხოვრობენ ჭანები და მარცხენაზე — ბერძნები. მეორე მდინარეა ირისე (ეხლანდელი ეშილ-ერმაკ), რომლის ერთ ტოტს ჰქვია ტეკამი. სამხრეთით პონტო იყო მთებიანი. აქ არის ბალხარის მთები პონტოს და ქართლს შუა (ეხლა გურჯი-ბოღაზი). ამ მთებს მიუყვება ნაწილობრივი მთები (ძველად სტიდიის, კილიკიის მთები). ნაწილობრივის მთების ერთი ნაწილი იწოდება გუკურად და გომიშად (კამბეჩად). გომიშის მთები (ეხლანდელი გუშიშ-ხანა) მდიდარია ვეცხლის მადნით.

როდესაც პონტო და კოლხიდა სპარსეთს ემორჩილებოდა, აქ იყო ორი სასჯელსაფეტო: 18 და 19. ეს იყო დარიოსის დროს.

კესენოფონტის დროს (431-354 ქრისტეს წინ) აქ მეფეებიც ყოფილან. მეცნიერი ვალიანი მოუთხრობს, რომ პირველი მეფე ყოფილა აქ არტაბაზი დარიოსისგან დადგენილი. ალექსანდრე მაკედონელის დროს აქ მეფობდა მიტრიდატ II ბრირველის ძე «ადმაშენებელი», რომელმაც 384 წელს გაიმარჯვა ბერძნების მეფეზე ლისიმახზე და ეს გამარჯვების წელიწადი დაიდვა წელთ აღრიცხვის დასაბამად პონტოში. 183 წ. ქრისტეს წინ პონტოს მეფე ფარნაკ იწერს სინოპს და ზღვის პირებს. მიტრი-

დატ VI ებრძვის ჭანიბალს, როგორც რომაელების მოკავშირე და მიიდებს ჯილდოდ ფრიგიას. მიტრიდატ VII იყო რომაელების დაუძინებელი მტერი. ამან შემოვლო მთელი ჰონტო, კაბბადოკია, შეისწავლა ქვეყნის ხასიათი და, მის მიხედვით, შეუდგა ქვეყნის საქმეს: იყო მეტად განვითარებული და ენების მცოდნე. მან დაიპყრა კოლხიდა, აკარა, გურია, იმერეთი, სამეგრელო აფხაზეთი და ბოსფორის *) სამეფო. არია კაბბადოკია: მოაკვლევინა მუნებური მეფე და მის ნაცვლად დაადგინა თავისი შვილი. მოირთო როგორც ხმელეთის ისე ზღვის ძალი და დაიპყრა სრულიად მცირეაზია. წაართვა რომაელებს, თრაკია და ატენი (შავიზღვის პირად). რომმა გამოგზავნა სილლა (სულლა) ჯარით, რომელმაც დაამარცხა მიტრიდატი და აიდო იონია, მიზია, ლიდია. 85 წელს მიტრიდატმა ითხოვა ზავი. ზავმა ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა დამორჩილებულ ქვეყნებზე: განუდგენ ბოსფორელები. მიტრიდატი რომ ბოსფორელების დასამორჩილებლად მოემზადა, რომაელებმა იფიქრეს, ჩვენ გვიპირებს ომსაო და გაგზავნეს მის წინააღმდეგ მერენას. ორჯერ დამარცხდა მერენას მიტრიდატისგან 82 წელს. ამას მოუვა ახალი ზავი. სამი წლის შემდეგ, 79 წელს, მიტრიდატმა ისევ დაიპყრა ბოსფორი და მეფედ დაადგინა აქ თავისი შვილი მახარა. გაიმართა მესამე ომი მიტრიდატს და რომს შუა. მიტრიდატმა ჩაიგდო ხელში პაფლაგონია, ბითინია და მოადგა ქ. ქიზიკს, რომე-

*) ყირიმი.

ლიც ძევს მარმარილოს ზღვის ნაპირზე. მაგრამ აქ ლუკულმა დაამარცხა მიტრიდატი, რომელიც შეიფლტო კოლხიდაში და იქიდან — ბოსფორში ჯარების შესაკრებად. მაგრამ ამ დროს მოხდა საოცარი ამბავი: მახარამ რომ მამის დამარცხება შეიტყო, მოიბიარა მისი მხედართმთავრები და წინა-აღუდგა მამას. მიტრიდატმა გეღარ მოითმინა შვილისაგან ესეთი უმართებულო საქციელი და ჯავრისაგან თავი მოიწამლა 64 წელს ქრისტეს წინ.

ნერონის დროს პონტო შეიქმნა რომის პროვინცია და 1204 წლამდი ვიზანტიას ემორჩილებოდა. ამ დროს კი თამარმა დაიპყრა ეს მხარე, უბოძა ალექსი კომნენს, დაასრა ტრაპიზონის იმპერია და საკუთარ ქალაქად გახადა ტრაპიზონი. ამ იმპერიამ იცოცხლა 1461 წლამდი ე. ი. იმ დროამდი, როცა ოსმალომ დაიპყრა.

კოლხიდა ეწოდებოდა ძველად მთელ პონტოს. სტრაბონის დროს კი კოლხიდა ერქვა იმ ადგილებს, რომელთაც დასაწყისი ჰქონდა ფასიხრონის (ახლა კოლოპოტამო) მდინარის შესართავამდი, საიც მდებარებდა დიოსკურია (იზგური). კოლხიდას შემორტყმული ჰქონდა კავკასიის მთები (ქართულად ღადო), რომლის ერთი ტოტი ჰყოფს იმერეთს და ქართლს (ლიხის მთა). ლიხის ერთი კალთა მიდის მტკვარზე და იწოდება მოსხის მთად (ე. ი. სამცხის ან აწყურის მთა). მეორე კალთა შეუქცევს პირს მტკვარს, შავ-ზღვისკენ მიეშურება და იწოდება ფერსათის მთად, რომელიც ჰყოფს გურიასამცხეს იმერეთიდან. ამ მთების ერთ კალთას ჰქვია კორაკის-მთა (ციხე-ჯვარი ახლანდელი); კორაკის-მთას

მიუვლია ჰონტოსკენ სტიდიის მთები (კილიკიის) და შემ-
დეგ—ნაწილობეკის. ამ საზღვრებში დის რიონი, ჭიბი-
უსი (ცხენის წყალი), ცანა (ტეხური), ჭოროხი (ჭლი-
ნის—აბსარა, არიუნის—აკამპსეს და ჰროკოპის—ბოას).
კოლხიდაში მოდის სელი, კანაფი, სასთელი და ფისი
საკმაოდ. განთქმულია ადგილობრივი ტილო, მდიდარია
ოქროთი, ვეცხლით, რკინით. შესანიშნავი ადგილებია
დიოსკურია და ფაზისი. დიოსკურიას წინეთ ერქვა
სევასტოპოლი (სტრაბონი). აქ ეოფილა ბერძნების კო-
ლონიები ბედიაში, ილორში, ჭერაკლეაში (ანაკლია) *)
ფაზისიდან ამოყვებოდენ ნავებით სარაპანამდის (შო-
რაპნამდის) ჯერ რიონს და მერე ყვირილას და მერე
მტკვრამდის ურმებით გადაქონდათ საგაჭროები. მტკვრით
კი კასპიის გაღმა გადიოდენ. კოლხიდაში იყო კიდე ქა-
ლაქები: ცირცეუმი, მეფეების სატახტო ქალაქი, ტინ-
დარიდა, ციგნი, ციოა, ანუ ქითი, შემდეგ—ქუთაისი.

მეორე საუკუნეში ადრიან იმპერატორმა დანიშნა
მმართველად ჰონტოში არრიანი. ეს მწერალი ამბობს,
რომ ჭალისის მარჯვენა ნაპირზე ცხოვრობენ მახელო-
ნები და გენიოხები, რომელთაც ჭლინი უწოდებს ჭანად
ანენიოხად. ამათ ეავდათ მეფე ასხილაუსი. ზღვრეთი

*) კოლხიდელებზე მოგვითხრობს აპოლონ როდოსელი
(250—200) შემდეგს: „იციან ზღვის და ხმელეთის გზების წარ-
მოდგენა რუკებზე თავიანთ მოვაპრეებისათვის. ეს რუკები
კოლხი დელებს პირველად ქვის გაუკეთებიათ და შემდეგ—ხის
ფიცრების". პლინი ამბობს: „კოლხიდაში გაკეთებული ფო-
ლადი ყველა ფოლადზე უკეთესი იყო დასავლეთისკენ".

(აჯარა, ქობულეთი, იმერხევი, შავშეთი, კლარჯეთი) ეკუთვნის იბერიის მეფეს ფარნავაზ III. მის შემდეგ იყო ლახივა (გურია). ამათ უკვდათ მეფე მელასი. მათ შემდეგ არის აპსილია (სამეგრელო). ამათ უკვე მეფე იულიანოსი. მერე აბაზგია. აქ მეფობდა რესმაგი. შემდეგია სანიგარი (ჯიქეთი), სადაც მეფობდა სპადაგა.

კესენოფონტი (431—354) ამბობს თავის თხზულებაში: «უკან დაბრუნება 10 ათასის ბერძნისა» შემდეგს:

1) შეეგლიოთ ბასიანში (რომელსაც რწყავს არეზის ზემო წელი), სადაც იყო ხალხი მკვიდრი, რომელიც არც სომეხს ჰგავდა, არც ქართველს. ლეროდოტის დროს კი (480—426) იწოდებოდა ეს ხალხი ალაროდიელებად*). ბასიანი ახლა კარნიფოლის (ახრუმის) მხარეა.

მეორე ხალხი, რომელსაც შეხვდა კესენოფონტი იყო ტაოხები ე. ი. ტაოს მცხოვრებნი ჭოროხის მარცხენა ნაპირზე. ტაომ დაიმსახურა დიდი ღვაწლი თავის შესახებ. აქ გამოჩნდენ პირველად ბაგრატიონები, რომელთ წეალობით მეტად აეგავდა ეს ქვეყანა. აქ იყო ჩვენი უკეთესი კულტურა: ანჩა, აგარაკი, ბანა, ეოშხი, იშხანი, ოპიზა, სხალთა, ტბეთი, ხახული—ჩვენის წარსულის სასიქადულო ნიმუშია. პირველად ქრისტიანობა ამ ქვეყანას მოედვა და აქედან გავრცელდა ჩვენსკენ. აქ იყო 31 ეპარხია; აქედან მოვიდენ იოანე, ევთიმე, გიორგი მთაწმიდელი, გიორგი ოლთისელი, თორნიკე.

*) ეხლა გამოკვლეულია მეცნიერის ლენორმანისგან, რომ ალაროდიელები ქართველები ყოფილან.

„მესამე ხალხი იყო ხალიბები მდინარე ისპირზე და შავიზღვის პირზე. აქ დარჩენილა ძველი სახელები: ქუთაია (ქუთაისი), ენგური, რომელზედაც ძევს, ქალაქი ანგორა, ონი — ჭალდისთან.

აქ იცხოვრებენ საუკეთესო ფოლადის გაკეთება, რომელსაც დასავლეთისკენ ბადალი არ აქვს; ხალიბები არიან მეტად უშიშარნი და მეომარი. აცვიათ მოკლე კურტაკი, წვივებზედ — პაიჭები, თავზე — ზუჩი; აქვთ ხანჯალი, შუბი და წელზე თოკები (როგორც გურულებს). აქედან გადადის გზა მაკრონებში.

„მეოთხე ხალხი იყო მაკრონები, რომელნიც სტრაბონის დროს იწოდებოდენ სანად, პლინის დროს — სანად-გენიოხად, არრიანის დროს — ტანად, ბიზანტიის მწერლები უწოდებენ ტცანად ე. ი. ჭანად. ცხოვრობდენ ჭოროხის მარცხენა მხარეზე,“ სადაც ეხლა არიან ლაზები. ჭანებს ე. ი. მაკრონებს, რომელნიც ცხოვრობდენ მთაში, კსენოფონტი უწოდებს „სეპტა-კომედად“ ე. ი. შვიდ სკეტად და ძველად ერქვათ მოსინაკები ე. ი. კოშკებზე მცხოვრებნი. აქედან ჩანს, რომ მაკრონები და მოსინაკები ეოფილა ერთი და იგივე ეხლა ჭანად წოდებული. ამათ მიიღეს ქრისტიანობა იუსტინიანეს დროს (V ს.)

მეხუთე ხალხი იყო ტიბარენი. ეს ხალხი ცხოვრობდა ბარში და მისდევდა ხვნა-თესვას და საქონლის მოშენებას. ზნე ჩვეულებით ჭკვანი იბერიელებს. ტიბარენები ცხოვრობენ მდინარის თერმეს კარშემო კოტიორას (შავ-ზღვის პირად) მახლობლად. ტიბარენები ცხოვრობენ აქაც და იბერიაშიაც.

2) იბერიის საზღვარია სამხრეთით არაქსი, დასავლეთით ტიბარენები, აღმოსავლეთით ალბანი, ჩრდილოეთით კავკასიის მთები. იბერია მეტად შემკული იყო ქალაქებით და მწიდროდაც დასახლებული. სახლები აქვსთ აგურის და კრამიტით დახურული. ხალხი მიწათ-მოქმედია და მშვიდობის მოყვარე. მათი საომარი იარაღია ხელში შუბი და შურდული. სტრაბონის აზრით იბერია არის ეხლანდელი ქართლი და ალბანია კი—კახეთი ალაზანს და მტკვარსშუა დერბენდით და დაღისტნით თერგამდის. განათლებით იბერია უფრო მაღლა იდგა ალბანიაზე. არაგვზე არის ქ. სევსამორა, მტკვარზე—ჭარმოზიკე, (არმაზისციხე, არმაზი, ბლინის—არმასტიზი და ბტოლომეს (120—170)—არმაკტიკა).

3) ალბანიას საზღვრავს კასპიის ზღვა, დასავლ. ალაზანი და იბერია, ჩრდილოეთით—დერბენდის ზემოთი მხარე თერგამდის, სამხრეთით—არმენია.*) ქვეყანა ერთობ ბოხიერია და მოსავლიანი. ტანით არის ხალხი შვენიერი და მეტად მეომარი. გამოუვთ 60 ათასი ქვეითი და 12 ათასი ცხენოსანი. ხმარობენ შუბს, ისარს, ფარს და ჩაბალახს, როგორც იბერიაში.

როგორც იბერიაში, აქაც 4 წოდებაა: 1) მეფე, 2) სასულიერო წოდება, 3) მხედრები, 4) სალხი. შენობები ალბანიაში და იბერიაში აქვსთ რიგიანი: აგურის

*) შირვანიც ეკუთვნოდა ალბანიას სენ-მარტენის განმარტებით. აქედან ჩანს, რომ კახეთი და ალბანია ერთი მეორის ნაწილი ყოფილა. ესეც იყო: წინეთ კახეთი კი არ ერქვა, არამედ—ალბანია, ე. ი. კახეთი იყო ალბანიის ნაწილი.

სახლები აქვთ კრამიტით დახურული, ალბანიაშიც და იბერიაშიც ხალხი მიწათ მოქმედია. ალბანია სავსეა მორიელით და ფალნგებით".

რადგანაც მცხეთა ითვლებოდა დედა-ქალაქად, ამიტომ უპირველეს მამასახლისთაგანად ირიცხებოდა მცხეთის მამასახლისი. თუმცა თვითოეული მამასახლისი თვითონ განაგებდა თავის შინაგან საქმეებს, მაგრამ, დრო გამოშვებით, მცხეთის მამასახლისთან იკრიბებოდენ მაინც ერისგან არჩეული პირები საერთო სათემო, ან საქვეყნო საქმეების გასაბჭობად. არც ერთ მამასახლისს არ ქონდა უფლება დაესაჯა ვინმე, თუ მას საზოგადოების კრება არ დაადგენდა; არც შეეძლო ხარჯის მოკრეფა, მის დაუკითხავად, რაიმე საჭიროებისათვის. მცხეთას ის უპირატესობა ქონდა, რომ, ომის დროს, იქაური მამასახლისი მთელ საქართველოს შეერთებულ ჯარების უფროსი იყო, და, მასთან ერთად, თავის სამამასახლისოდანაც მოყავდა, თავის წილი ჯარი. ომს აცხადებდა საბჭო, რომელსაც შეადგენდა მთელ საქართველოსაგან არჩეული პირები. ესენი იკრიბებოდენ მცხეთაში საბჭოში. ამ საბჭოში ირჩევდენ შემდეგ ღირსების შექონ პირებს: ისინი უნდა ყოფილიყვენ გონიერები, გამოცდილები, უანგარო და პირუთნეველი. თუ საჭიროება მოითხოვდა, ამ საბჭოში მცხეთის მამასახლისსაც მოიწვევდენ. საბჭოს მოვალეობა იყო განეხილა ყველა ის საქმე, რომელიც თავის სამამასახლისოში ვერ გაარკვიეს. ამას გარდა, ომის გამოცხადება და

ზავის ჩამოგდება მის ხელში იყო. მასვე ექვემდებარეობდა საქვეყნო საჭიროებისთვის ხარჯის შეწერა.

მამასახლისობის ხანაში ერთობ აწუხებდენ ქართველებს ხაზარები. ესენი ცხოვრობდენ კავკასიის მთის გადაღმა. დრო გამოშვებით შემოესეოდენ ქვეყანას და მოსვენებას არ აძლევდენ: არბევდენ და, სადაც მოასწრებდენ, ტყვეც გაყავდათ. ამ შემოსევის დროს, სხვათა შორის, ისწავლეს საქართველოში მოსავალი გზებიც: „ზღვის-კარი“ (დერბენდი, დარუბონდი) და დარიალი (არაგვის-კარი, ანუ ხევის-კარი). ხაზარების გავლენა ისეთი ძლიერი შეიქნა ბოლოს, რომ, იყო დრო, როდესაც ქართველობა ხარკსაც კი აძლევდა მათ.

ხაზარების შემდეგ გაძლიერდა სპარსეთი, რომელმაც დაიპყრა მაშინდელი ცნობილი ქვეყნები და მათთან ერთად—საქართველოც: ეს იყო სპარსეთის მეფის ფერუდინის დროს (1607 წ. ქ. წ.) ფერუდინმა გამოგზავნა ქართლში ჯარი და წინაუძღოლა მას თავისი ერისთავი არდაძი, რომელმაც, მაშინ ალბა, ხაზარები კი გადევნა, მოაშორა საქართველოს, მაგრამ, მის მაგიერ, თვითონ გაბატონდა. ამ ერისთავმა ალშენა ციხე იქ, სადაც იყო „ზღვის-კარი“ და შემოავლო მცხეთას ქვიტკირის გალავანი (არდაძის მოსვლამდი, საქართველოში არიცოდენ ქვიტკირის შენობაო, ამბობს „ქართლის ცხოვრება“). სპარსეთს მოუღო ბოლო ალექსანდრე მაკედონელმა. „ქართლის ცხოვრების“ თქმით, ალექსანდრემ დაიპყრა სა-

ქართველო და ხარკიც კი შეაწერა. მმართველად დამორჩილებულ ქვეყანას დაუყენა ბერძენი აზონი და მისცა მას ჯარები, მონობაში ყოლოდა ქართველობა. აზონმა შემოიტანა ჩვენში ახალი წესი: კერპის თაყვანის ცემა, მზის, მთვარის და ვარსკულავების. ამას მიუმატა მან კიდე ორი კერპი: **გაცი** და **გაიმ**.

მაკედონელის მფლობელობასაც მალე მოეღო ბოლო. აზონის მკაცრმა და მტარვალურმა მოქმედებამ ერთობ დააღონა ქართველობა და ბოლოს, მოთმინებიდან გამოსულები, შეითქვენ აჯანყდენ და განთავისუფლდენ. ამ აჯანყების მოთავე იყო ფარნავაზი.

ფარნავაზ მეფე (302-237)

ფარნავაზი იყო მცხეთის მამასახლისის სამარას ძმის წული. როგორც მატიანე ამბობს, მისი მამაც და ბიძაც ორივე მოიკლა ომში ალექსანდრე მაკედონელთან. ქართლის ცხოვრება აგვიწერს ფარნავაზს ასე: ის იყო მხნე, ახოვანი, შვენიერი, მონადირე და კისკასი (ძკვირცხლი). რასაკვირველია ამისთანა კაცებს აზონი არ დაინდობდა, რადგან მათში ქვეყნის ძალას ხედავდა. ამიტომაც ხშირად ურჩევდა ფარნავაზს დედა, რომელიც გვაროვნობით სპარსელი იყო, გაშორებოდა საბრთხეს და ნათესავებთან წასულიყო სპარსეთში, მაგრამ ფარნავაზი ვერ ანებებდა თავს სამშობლოს. ბოლოს კი ერთმა ზღაპრულ გარემოებამ

შეურყია აზრი. ერთხელ ნახა სიზმარი, ვითომ ოთახ-
შია, იწევს გარეთ და ვერ გამოსულა. ამდროს შე-
მოდის სარკმლიდან მზის სხივი, შემოერტყმება წელ-
ზე და გაიყვანს გარეთ. დაიხედავს ძირს და ნახავს
მის წინ დაცვარულ მზეს. მოხოცს ცვარს, წაისვამს
სახეზე და ამ დროს კიდეც გამოეღვიძება. მაშინ ფარ-
ნავაზი ამბობს: წავალ დედულეთს: ვატყობ, ბედი
მილიმის. მაგრამ აქაც ერთმა შემთხვევამ დააყენა.
ერთხელ გავიდა სანადიროდ დილომის სანახებში.
გამოხტა ირემი. ფარნავაზმა სტყორცა ისარი და და-
სჭრა, მაგრამ ირემი მაინც წავიდა. მიჰყვა კვალ-და-
კვალ ფარნავაზი. ირემი ერთ კლდის ძირთან მივი-
და, წაიქცა და მოკვდა. დაბინდდა კიდეც და თან
საოცარმა წვიმამაც დაასხა. ფარნავაზმა სახლში
წამოსვლას სადმე მყუდროში თავის შეფარება
არჩია და ძებნა დაიწყო. ძებნის დროს მიადგა ერთ
ადგილს, სადაც ნახა კარებ ამოქოლილი გვირაბი.
ჰკრა ჩუგლუგი და კარები ჩამოანგრია. შევიდა შიგ
და იპოვა უამრავი სიმდიდრე. ამოქოლა ისევ კარები
და, როგორც კი წვიმამ გადიოლ, ღამევე გაეშურა
მცხეთისკენ. მეორე დღეს ღამით, რაც სიმდიდრე იყო
ქვაბში, სულ გადიტანა მცხეთაში და დამალა. ამის
შემდეგ გაუგზავნა კაცი თავის ნათესავს ქუჯს, რო-
მელიც იყო ეგრისის (სამეგრელოს) მფლობელი.
აახლა თან სიმდიდრე და სთხოვა შემწეობა აზონის
წინააღმდეგ. ისიც გადმოვიდა თავის ჯარებით. ეკვე-
თენ ორივე აზონს და დაამარცხეს. დამარცხებული

აზონი გაეშურა კლარჯეთისკენ, უნდოდა იქ გამაგრებულიყო. ფარნავაზი მიჰყვა კვალ-და-კვალ და იქაც დაამარცხა. ამ ომს ის შედეგი მოჰყვა, რომ, ბრძოლის დროს, თვითონ აზონი მოიკლა და კლარჯეთი კი შემოიერთა ფარნავაზმა.

ამ გვარად, გაერთიანდა საქართველო, რომელსაც ამდრომდი მოწყვეტილი ჰქონდა კლარჯეთი ბერძნების წყალობით. დარჩა ბერძნების ხელში მხოლოდ ენგურის გაღმა მხარეები. ამ დროდან ფარნავაზს იცნობს „ქართლის ცხოვრება“ მეფედ.

რომ ქვეყანა უკეთეს წესზე ყოფილიყო დაწყობილი, ფარნავაზმა გაჰყო საქართველო ცხრა საერისთაოდ. ესენი იყო:

1. რიონს და ენგურს შუა (სადაც ერისთაობდა ფარნავაზის სიძე ქუჯი)*).

2. ლიხის მთის (ღადო, აჭარის მთა) და რიონის შუა არგვეთი შავ-ზღვამდის.

3. კახეთი, კუხეთი, ჰერეთი (ქიზიყი).

4. ხუნანი (ყის-ყალა, მტკვრის-ციხე, გატეხილი-ხიდი) ბერდუჯს (დებედა) და მტკვრის შუა ტფილისამდე.

5. სამშვილდე სკვირეთიდან (ვერის-ხევი) ფარავანამდე.

6. წუნი მტკვრის აღმოსავლეთი ფარავანამდე, და მტკვრის სათავემდე.

---

*) ფარნავაზის და ყავდა ქუჯის ცოლად.

7. ოძრახოს (აბასთუმანი, ოცხე) ტაშის-კარიდან შავ-ზღვამდე და ჭოროხამდე.

8. კლარჯეთი (ჭოროხის ხეობა).

9. შიდა-ქართლი.

თვითოეული ერისთავი განაგებდა თავის რაიონს. მეცხრე ერისთავი კი იყო ყველა დანარჩენებზე უფროსი. ეს იყო შიდა-ქართლის ერისთავი, რომელიც თვალყურს ადევნებდა სხვა ერისთავების მოქმედებას და ყოველივე ქვეყნის ამბავს ამცნებდა მეფეს. ამასთანავე ის იყო მეფის თანამზრახი და ჯარების უფროსი ანუ სპასპეტი. იგივე მოიღებდა ქვეყნისგან ხარკს.

ფარნავაზმა ამართა „ქართლის მთაზე" კერპი არმაზი, და ამის შემდეგ ქართლის მთას დაერქვა არმაზის მთა.

სურმაგს (237—162) შემოაქვს კერპი აინინა და დანანა; ფარნაჯობს (112—93)—ზადენი; ანდრია მოტიქულის დროს მესხები მსახურებენ ბერძნების ღმერთებს არტემის და აპოლონს. რევის (186—213 მეუღლეს შემოაქვს კერპი აფროდიტი.

ფარნავაზს მიაწერს „ქართლის ცხოვრება" ანბანის შედგენას.

როდის გაჩნდა ანბანი? ამ საგნის შესახებ არსებობს ორი აზრი.

ა. ვითომ ფარნავაზის დროს იყო მხედრული.

ბ. ვითომ ხუცური ანბანი წინა-უძღვის მხედრულს და, ვითომ, ეს უკანასკნელი არის ხუცურის

ნამდვილი შვილი. პირველ მოსაზრების მიმდევარები თავის აზრს ამყარებენ შემდეგ გარემოებაზე: 35 ზენდურ ასოში 25 ასო ქართულ მხედრულს ჰგავს. ამიტომაც აქედან ის აზრი გამოიყვანეს, რომ მხედრული წინანდელიაო. დანარჩენი 22 მხოლოდ იმით განსხვავდება ზენდურიდან, რომ ჰორიზონტალურად კი არ წევან,—პერპენდიკულიარულად (შვეულად) არიან, ან გადაბრუნებულია მარჯვნიდან მარცხნით.—ამას კიდე იმას უმატებენ, რომ სწორედ ფარნავაზის დროს ზენდური ანბანი ბატონობდაო და ადვილად შესაძლებელია, მის დროს შემოსულიყოს მხედრულიო. მხოლოდ დღემდის თუ არ აღმოჩნდა რამე ნაშთი, რომელიც ამას ამტკიცებდეს, ეს კიდევ არ არის საბუთი მის უარსებობისო. ვინ იცის, იქნება, როგორც სხვაგან, აქაც ისე მოხდა: ქრისტიანობამ უარჰყო მხედრული, როგორც კერპობის წარმომადგენელი და მოსპო, დავიწყებას მისცა მისი ხსენებაო.

მეორე აზრის მიმდევარები ამბობენ: უძველესი ანბანი არის ხუცური ასო-მთავრული, რომელსაც ვხედავთ ვახტანგ გორგასლანის ფულზე, ორივე სტეფანოსის*) ფულზე, გურამის**) ფულზე, ჯუანშერის***) ფულზე. ამას გარდა უძველესი წარწერები კედლებზე და ტყავზე ხუცური ასო-მთავრულია.

*) სტეფანოს I (600—619); სტეფანოს II (639—663).
**) გურამ (575—600).
***) ჯუანშერ (718—787).

კედლებზე არის მეშვიდე საუკუნის წარწერა ხუცურ ასო-მთავრულით ჯვარის-საყდარზე მცხეთაში, ურბნისის საყდარზე და რკონის საყდარზე. ჯვარის მონასტერში იერუსალიმში არის ხელნაწერი ხუცური ასო-მთავრულით VII-ს.: „თვენი, დავითნი და მამათ ცხოვრება ბასილი დიდისა, გრიგოლი ღვთის მეტყველისა და იოანე ოქროპირისა“. სინაზე არის VIII და IX-ს. კურთხევანი. ნუსხა ხუცური გამოჩნდება VII-ში და ამდროდან თან-და-თან ვრცელდება. ამ ნუსხა ხუცურიდან, დროს განმავალობაში, წარმოდგა მხედრული. ეს მტკიცდება მით, რომ უძველესი მხედრული ჯერ ისევ ნუსხა ხუცურს გავს: მაგალითად ანის წარწერა (X საუკუნის), აფხაზეთში*) - სოუკსუს —ეკლესიაზე (XI-ს) და ბაგრატ IV გუჯარი. მე XI და XII საუკუნეებშიაც კი მხედრულ მწერლობაში ასოები: დ, კ, ლ, ჲ, პ, რ, ტ ფ, ქ, ღ, მ, რ, ც, ძ, წ, ჭ, ხ, ჯ, ჰ, ხუცურს ჰგავან. აქედან ის დასკვნა გამოიყვანეს მკვლევარებმა, რომ ჯერ გაჩენილა ხუცური ასო-მთავრული ანბანი, რომელიც შემდეგ ნუსხა ხუცურად გადაქცეულა და ნუსხა ხუცური კი მხედრულად შეცვლილა დროს განმავალობაში.

ამბობენ ხუცური მესროპმა (361—441), სომეხმა, შეადგინაო, მაგრამ ეს სიმართლეს მოკლებულია: 1) მათი ისტორიკი კორუნი ამბობს, რომ მესროპმა ქართული არ იცოდაო. 2) სომხებს „ო“

---

*) ლიხნაში.

აქვთ მარტო მე-XII საუკუნიდან, ჩვენ კი—მეექვსე-დან 3) ანბანი სომხურ რიგს კი არ მიყვება, არა-მედ ზენდურს, ბერძნულს და ინდოეთურს.

ფარნავაზი ემორჩილებოდა სირიის მეფეს ან-ტიოქოსს. მის შემდეგ შემოდის ჩვენში ცეცხლის თაყვანის-მცემლობა და ერთობ იდგამს ფესვს. ის შემოიტანა სპარსეთიდან ფარნაჯობ მეფემ 112—93). ახალ სარწმუნოების წარმომადგენელები ფარანჯობმა დააბინავა მცხეთაში იმ ალაგს, რომელსაც დღესაც ბოგთა ჰქვია. ეს ითაკილეს ქართველებმა და აჯანყ-დენ: გააგდეს საქართველოდან ფარნაჯობი და მოი-წვიეს ტახტზე სომხეთის მეფის შვილი არშაკი (93—81).

ამ გვარად დაარსდა საქართველოში ახალი დინას-ტია—«არშაკუნიანი, ანუ არზასიდი». ეს არზასიდები აღმოჩნდენ პირველად პარფიაში და აქედან გავრცელდენ, სხვათა შორის, სომხეთში და საქართველოში. როგორ მოხდა ეს? ალექსანდრე მაკედონელის ტახტზე ასვლიდან (336) ვიდრე 65 წლამდი ქრისტეს შემდეგ, რამდენ-ჯერმე შეიცვალა აზიის ელფერი: ალექსანდრემ დაამყა-რა მაკედონიის დიდი იმპერია, რომელმაც ჩანთქა მცირე აზია, სპარსეთი და ინდოეთი. ალექსანდრეს სიკვდილის შემდეგ აუვავდა სირიაში სელევკიდების სამფლობელო, რომელიც დაარსა ალექსანდრეს მხედართ-მთავარმა სე-ლევკ ნიკატორმა. ამ სამეფომ დაჰფარა მაკედონიის იმპერია. დაეცა სირია და აღდგა პარფია არშაკუნიანების ანუ არზასიდების ხელში.

პარფიელები (სკვითები) ბინადრობდენ ხორასნის ჩრდილო-დასავლეთად.

შემდეგ გაძლიერდა პონტოს სამეფო, რომელიც დასცეს რომაელებმა. პონტოში მეფობდენ რამდენიმე მიტრიდატი: ამ მიტრიდატებმა დაიჭირეს, პონტოს გარდა, მთელი კაბადოკია და შემოიტანეს თავის სამფლობელოში ბერძნების განათლება.

ქრისტეს წინ მეორე საუკუნეში მიტრიდატ მეოთხის შვილმა ფარნაკ I დაიპყრა ბერძნების აღუვავებული ქალაქი სინოპი და დედა-ქალაქად დაადგინა. ფარნაკის ხელში კიდე უფრო აუვავდა და გაძლიერდა სინოპი. მაგრამ მეტად ფრთა შეისხა პონტის სამეფომ მიტრიდატ VII დიდის დროს. მიტრიდატი VII თავგამოდებით ეომებოდა რომაელების სარდლებს სულლას, ლუკულლს და პომპეს 30 წელს. მართალია, რამდენჯერმე დამარცხდა მიტრიდატი, მაგრამ სულით არასოდეს არ დატეშულა და კიდე უფრო ახალის ძალით და ენერგიით იწყებდა ომს. მიტრიდატს ეხმარებოდენ სომსეთის მეფე ტიგრანი, იბერიის მეფე არტაგი (81—66) და ალბანიის—ორაზესი. სამჯერ შეებრძოლენ და სამჯერ დაამარცხეს რომაელებმა. დამარცხებული მიტრიდატი შეიკეტა კოლხიდაში. პომპეი მიჰყვა მას კვალდა-კვალ, ააშენა ხიდი, რომელსაც დღესაც ეძახიან «ბომბუას» ხიდს ხონს ზემოთ, და გაედევნა მიტრიდატს, მაგრამ ვეღარ მიჰყვა გზების შიშის გამო და მიტომაც დაიზამთრა კოლხიდაში. ამ დროს არტაგმა და ორაზესმა შეკრიბეს 75 ათასი მეომარი მტკვრის პირად პომ-

ჰეისთან ჰირის ჰირ სოომრად. ეს რომ ჰოომჰეიმ შეიტეო, მაშინვე მოაშურა სოომრად. გამართა მტკვარზე ხიდი (მცხეთას), გავიდა გალმა, შეებრძოლა მეფეებს და ორივე დაამარცხა. ამ დროდან ჩვენ ქვეყანას ეძახიან რომაელები «იბერიას», ბერძნები კი «იბერიას».

მეფე ადერვის (2—25) მეფობის მეორე წელს იშვა მაცხოვარი ბეთლემს*). მის დროსვე მოვიდა საქადაგებლად საქართველოში ანდრია მოციქული. ადერკის შემდეგ საქართველო დაიყო ორ სამეფოდ (55 – 132).

ქრისტეს მცნების ქადაგება საქართველოში.

ქრისტიანობა ჩვენში თანდათან ვრცელდებოდა და ძირს უთხრიდა კერპთაყვანის-მცემლობას, რომელსაც ერთობ ღრმად ჰქონდა გადგმული ფესვი საქართველოს ნიადაგში. პირველად იქადაგეს საქართველოს ნიადაგზე ქრისტიანობა პონტოში და სინოპში პეტრემ და პაველმ; კოლხიდაში — მათემ; მერე—ანდრიამ. ანდრია შემოვიდა ტრაპიზონში, („რომელ არს სოფელი მეგრელთა“*). იქიდან შემოვიდა ზემო-ქართლში და მოატანა აწყურამდის. აქედან ისევ დაბრუნდა უკან; გაიარა არტაანი, კოლა და კლარჯეთით მივიდა იერუსალიმში. მეორედ რომ

*) მის დროსვე ეკუთვნის ტაციტის (56—117) და სტრაბონის (66—24) ცნობა „ივერიაზე“.

შემოვიდა ანდრია, მას მოჰყვა მატათა და სიმონ კანანელი. მოვლეს კლარჯეთი. აქედან გადავიდენ ჯერ სამეგრელოში და მერე აფხაზეთში სევასტეს ქალაქს (ცხუმს, სოხუმს). სიმონ კანანელი იქ დატევა და თვითონ გაეშურა ჯიქეთს, მაგრამ იქ მან ნახა თითქმის ველური ხალხი, რომელმაც დაუპირა სიკვდილი. ამიტომაც მოშორდა ამ ქვეყანას და გაეშურა სვანეთში, სადაც იქადაგა სახარება და მოძღვრად დაუტევა მატათა. აქედან გადავიდა ოსეთში და ბოსფორში (ყირიმში). ბოსფორიდან კი სკვითების ქვეყნისკენ გასწია. სიმონ კანანელი გადაიცვალა აფხაზეთში და აქვეა დასაფლავებული სიმონ კანანელის ეკლესიაში.

ამას გარდა შავ-ზღვის პირზედ იგზავნებოდენ სხვა ქრისტიანებიც, რომელთაც დევნიდენ რომის იმპერატორები, — მაგალითად რომის ეპისკოპოსი კლიმენტი (100 წ.) განიდევნა ხერსონესში, საიდანაც დიდად მოქმედებდა ივერიელებზე. იოანე ოქროპირი ექსორია ქმნილ იქმნა ბიზვინტას. ანდრიას მოწაფე ფილოლოგი იყო სინოპის ეპისკოპოსი. უძველესი ეპისკოპოსი ტრაპიზონის იყო ფოტი, მელეტი; კოლხიდელი პალმი და მისი შვილი მარკიონი პონტის ეპისკოპოზებად იყვენ. ზოგი აქაური მღვდელმთავრები მსოფლიო კრებაზედაც იღებენ მონაწილეობას, მაგალითად—ბიზვინტის და ნიკოფსიის ეპისკოპოსები: იპატი, სტრატოფილი და პაციანი.

მირიან ქასრეს (არდეშირი) II ხოსროიანი
(265—342)*)

ფარნავაზიდან მირიანამდის საკმაო ხანმა გაიარა. ამ დროს განმავლობაში ხან ხაზარები აწუხებდენ ქართველებს დარიალიდან და დარუბანდიდან და ხან—სპარსელები. ბოლოს ასფაგურ მეფის დროს (262 —265) სპარხეთმა სრულიად დაიპყრა საქართველო და თავისი მოხარკე გახადა, თუმცა მეფობა-კი არ მოუსპია. როდესაც ასფაგური გადაიცვალა, დარჩა მას ერთად ერთი ქალი აბეშურა. შეკრბენ დიდებულები და მაეჟან სპასპეტის რჩევით გამოსთხოვეს ქასრეს შვილი მირიანი მეფედ, რომელსაც, ქართველებისვე თხოვნით, უნდა შეერთო საქართველოს მეფის ქალი აბეშურა. ქასრემ შეიწყნარა ქართველების თხოვნა, გამოგზავნა მირიანი, რომელმაც შეირთო აბეშურა.

ამ ხანაში მირიანი გამუდმებით ებრძვის ხაზარებს, რომელთაც მოსვენება არ მისცეს ქართველებს. გაიარა ხანმა და მოკვდა არდეშირი (ქასრე). მამის ტახტზე ავიდა სპარსეთის მბრძანებლად ბარტომ. მირიანი გაეშურა მამის ტახტის საძიებლად, მაგრამ ძმები, სისხლის დაულვრელად, მორიგდენ და ტახტის ბადლად მირიანს მოსცა ბარტომმა ადრიბეჟანი. მოკვდა აბეშურა და მირიანმა შეირთო ნანა საბერძნეთიდან მოყვანილი ულიოტორის ასული. როცა

---

*) ანუ სასანიანი.

მირიანი სპარსეთში იყო, გადმოვიდენ ოსები, მოარბიეს ქართლი და წავიდენ. მირიანი გაეშურა ოსების დასასჯელად, გადაუხადა სამაგიერო, ალაგმა მათი თავხედობა და დაბრუნდა დარუბანდით. მისი დაბრუნება და ხაზარების შემოსევა ერთი იყო. როცა მირიანი ხაზარებს ებრძოდა, შემოიჭრა სამხრეთ-საქართველოში სომხეთის მეფე ტირიდატი და დაუწყო რბევა ქართლის საზღვრებს. ასტყდა ორ მეზობელ შუა ხანგრძლივი ომი. მირიანს ეხმარებოდა სპარსეთი და ტირიდატს — საბერძნეთი. როდესაც ორივე მისუსტდა, დასდვეს ზავი: იყოს მტკიცე და უცვლელი საზღვარი ჩვენ შორის მტკვრის და არეზის წყალ-გამყოფელი ხაზი.

წმ. ნინო*) მოვიდა კაბადოკიიდან. მის მამას ერქვა ზაბულონი და დედას—სუსანა. როცა ნინო წამოიზარდა მშობლები მონასტერში შევიდენ და შვილიკი ღვთის მსახურებაში ასაზრდელად მისცეს იერუსალიმის პატრიარხს იობენალს, რომელიც იყო ნინოს ბიძა. ბიძამ ნინო მიაბარა გასაწრთვნელად ერთ ღვთის მოსავ ქალს სარრას. ამ ქალისგან ისწავლა წმ. ნინომ საღმრთო სჯული და აგრეთვე, თუ სად იყო დაკრძალული ქრისტეს კვართი. გატაცებული ამ აზრით ის გამოეშურება ჩვენსკენ და დიდ ტან-

*) მისგან საქართველოს მონათლვას მოგვითხრობენ; IV-სნუკ. მწერალი ბერძენი რუფინი. V-ს მწერალი სოკრატი, სოზომენი და თეოდორიტი თითქმის ისე მოგვითხრობენ საქართველოს მოქრისტიანებას, როგორც „ქართლის ცხოვრება“.

ჯვის შემდეგ მოატანს ფარავანის ტბასთან, სადაც გადმომდინარებს ფარავანის წყალი ტბიდან. აქედან ის მოჰყვა მტკვარს და მოვიდა ურბნისში, რომელიც მის დროს დიდი ქალაქი, თურმე, იყო. ურბნისიდან გამოჰყვა მგზავრებს მცხეთაში. ესენი მოდიოდენ მცხეთაში არმაზობაზე, რომელიც იყო 6 აგვისტოს. როდესაც ამ დღეს ააწყდა ურიცხვი ერი არმაზზე, ნინოც იქ იყო. უცებ ასტყდა საშინელი ქარი; მას მოჰყვა საოცარი სეტყვა და სულ ერთიანად მილეწ-მოლეწა არმაზი და დანარჩენი კერპები: არმაზ, გაც, გაიმ, აინინა და დანანა. შეშინებული მლოცველები მეტის სისწრაფით დაეშვენ ქვეით, სახლებისკენ, დასამალავად ჩამოვიდა წმ. ნინოც მთიდან და დაბინავდა მეფის მებალის ცოლთან ანასტასიასთან. აქ შეუდგა წმინდა ნინო ქადაგებას, უფრო მალულად, და დიდ-ძალი მოწაფეები შეიძინა. მირიანი, როგორც ცეცხლის თაყვანის მცემელი, თუმცა პატივსცემდა ქართველობას და მათ სარწმუნოებას, მაგრამ მაინც ქრისტიანობის წინააღმდეგი იყო. მის შემდეგ, რაც დედოფალი ნანა დაემოწაფა ნინოს, ეს უკანასკნელი უფრო გამხნევდა და ფრთა შეისხა. მეფემ გადასწყვიტა ქრისტიანების გაწყვეტა მცხეთაში, მხოლოდ ერთმა გარემოებამ შეუშალა ხელი: ერთხელ მეფე სანადიროდ იყო თხოთის მთაზე და მზე დაუბნელდა. შეშინებულმა მეფემ აღთქმა მისცა შემოქმედს: **თუ გამითენებ, ნახოს დმერთის ვიწყებო.** განათლდა. მეფე გაჩქარებული დაეშვა თხოთის მთიდან და მიაშვირა წმინდა

ნინოს. ნინომ გააგზავნინა ელჩები მირიანს კოსტანტილეპოლში კოსტანტინე იმპერატორთან. გახარებულმა იმპერატორმა გამოგზავნა ეპისკოპოსი, მღვდლები და დიაკვნები. მეფე და დედოფალი ნანა მოინათლენ დიდებულებით იქ, სადაც მცხეთაში ძველი ხიდია, სამხრეთით, 317 წ. ანტოქიის პატრიარქის ესტატეს ხელით. *), ცოტა ქვემოთ — ერი. აქედან გაეშურენ სახარების საქადაგებლად მირიანი და წმინდა ნინო მთიულეთში, სადაც ბევრი მოინათლა, მაგრამ ფხოელებმა (ფშავლებმა) და ჭართალელებმა უარი განაცხადეს მოქრისტიანებაზე.

მთიულეთიდან წმინდა ნინო კახეთში გადავიდა საქადაგებლად და, მისული ბოდბეში, ავად გახდა და გადაიცვალა 329 წ. აქვე დასაფლავებულია ბოდბეში მისი წმინდა გვამი.

მირიანმა ააშენა მცხეთაში ორი ხის ეკლესია: ერთი თორძეტ მოციქულის სახელზე — იქ, სადაც იყო დაკრძალული კვართი და რომელსაც დღეს „სვეტი-ცხოველი“ ჰქვია.**) და მეორე — იქ, სადაც დღეს „ღვთაების“ საყდარია.

ღვთაების ეკლესიაში ასაფლავია მირიანი და დედოფალი ნანა.

---

*) ამას მოწმობენ დ. ბაქრაძე, ჩამჩიანი, ვახუშტი და გიორგი მთაწმინდელი.

**) სანამ კათალიკოსობა დაწესდებოდა ჩვენში, ჩვენი ეკლესია შეადგენდა ანტიოქიის სამწყსოს.

ეს ისეთი დროა, როდესაც მეტად გაძლიერე-
რებული სპარსეთი თამამად შემოდის საქართველოში
და ქადაგებს ცეცხლის თაყვანის ცემას. სპარსეთის
ფრთა-შესხმული ძლიერება იქამდის მივიდა, რომ
ვარაზ-ბაქარის დროს (279—393)*) საქართველო მისი
მოხარკე შეიქნა. ამ დროს ვახტანგი 7 წლის იყო,
და ამიტომაც, მის მცირე წლოვანების გამო, ქვეყანას
მართვიდა დედა მისი საგდუხტ.

რომ სამეფო წესები კარგა შეესწავლა ვახტანგს,
დედა მისმა მიაბარა ის მაშინდელ წარჩინებულ
პირებს: ჯერ სპასპეტი საურმაგი წვრთნიდა მეფის ძეს
და, მის სიკვდილის შემდეგ, სპასპეტი ჯუანშერი.

ვახტანგის უსუსურობით ისარგებლეს ოსებმა:
გადმოვლეს მთები, შემოიჭრენ ქართლში, მოარბიეს,
დასწვეს და დაანგრიეს ქ. კასპი და მოიტაცეს ვახ-
ტანგის პატარა და მირანდუხტი.

---

*) ბაქარის შვილმა მურვანოსმა (ბერობაში—პეტრემ)
დიდი სახელი განითქვა საბერძნეთში: მას იცნობს საბერძნეთი
როგორც ჩინებულს ღვთის მეტყველს და მეცნიერს. ის იყო
დადგენილი ბერძნებისგან ეპისკოპოსად ქ. მაიუმში. მან ააშენა
პალესტინაში რამდენიმე მონასტერი, ქსენონი, სასტუმრო
ქრისტიანებისთვის. გადაიცვალა 65 წლის და დასაფლავებუ-
ლია ზენონ იმპერატორისაგან (474—494) პეტრესგან აშენე-
ბულ ქართველების მონასტერში იერუსალიმში.—პეტრეს მო-
ღვაწეობაზევე მოგვითხრობს თავის „მსოფლიო ისტორიაში“
მე-12 საუკუნის სირიელი პატრიარქი მიხეილ დიდი.

ცეცხლით და მახვილით გაიარეს კახეთი, ალბანია და დარუბანდით ოსეთში დაბრუნდენ.

ამავე დროს ბერძნებმა ჩაიგდეს ხელში დასავლეთის საქართველო „ციხე-გოჯამდის“ (შემდეგ ნაქალაქევი) მარკიანე კეისრის დროს (450—457).

ვახტანგი 15 წლის იყო, როცა მოიწვია მცხეთაში დიდებულები და გამოუცხადა მათ ოსეთზე გალაშქრება: მას სურს იძიოს მისი შური, ვინც შელახა საქართველოს სახელი. სპასპეტი ჯუანშერი ურჩევს მეფეს, თვითონ, მცირე წლოვანობის გამო, მცხეთაში დარჩეს და ჯარს სხვა მოთავე უჩინოს, მაგრამ მეფე არ დათანხმდა. შეიკრიბა ჯარი მუხრანს. ვახტანგს მაინც დაეზმულობა და სიმამაცე მეტად ამხნევებდა, და აღტაცებაში მოყავდა. გაეშურენ ოსეთისაკენ, აიარეს არაგვის პირი და შევიდენ ოსეთის საზღვრში 456 წ.

ოსებს ეხმარებოდენ ხაზარები და ჯიქები. ბრძოლა იყო გოლიათებით. გამოვიდა ოსების რაზმიდან თარხან-ხაზარი. გაჰყვა ვახტანგის მწყობრიდან ფარსმან-ფარუხი. ეკვეთენ ერთმანეთს. უხეთქა ჩაბალახზე თარხანმა ფარსმანს და მოკლა. აღელდა ქართველობა. ვახტანგმა თვითონ მოისურვა თარხანთან საომრად გასვლა. დიდებულები ბევრს ემუდარენ ვახტანგს, მაგრამ მეფემ თავისი არ დაიშალა. გავიდა თუ არა, უხეთქა ხმალი თარხან-ხაზარს ჩაბალახზე და ბეჭამდი გააპო. თარხანი გადმოვარდა ცხენიდან და უსულოდ ძირს დაეცა. ვაშა-ვაშას ძახილს და კი-

ჟინას ბანაკში საზღვარი აღარ ჰქონდა. გამოვიდა მეორე დღეს ოსების რაზმიდან ბაყათარ ოსი და გაიწვია ვახტანგი საომრად. წვიმასავით დააყარეს ისარი ერთმანეთს. უმარჯვა ისარი ბაყათარმა ვახტანგს. ვახტანგმა ისარი აიცდინა თავის სიმკვირცხლის წყალობით, მაგრამ მოხვდა მის ცხენს და მეორე გვერდისკენ გავარდა. ამავე წამს ვახტანგის ხმალი მეხივით დაეცა ბაყათარს მხარზე და გულამდე ჩაკვეთა. ეს ისეთის სისწრაფით მოხდა, რომ ვახტანგის ცხენის წაქცევა და ბაყათარის ცხენიდან გადმოვარდნა ერთი იყო. მიიჭრა ქორივით ვახტანგი მის ცხენთან, სტაცა ხელი სადავეს, შავარდენივით ზედ მოეკვლო და ზარის ხმით უყივლა ქართველებს ოსების წინააღმდეგ. შეიქმნა საშინელი ჩეხა.—ვახტანგმა დაამარცხა ოსები, შეიჭრა მათ ქვეყანაში, დაანგრია მათი სიმაგრეები, უამრავი დაატყვევა და თავისი და მირანდუხტი ტყვეობისგან გამოიხსნა.—აქედან ვახტანგი გადაეშვა ხაზარების და ჯიქების დასასჯელად. დაამარცხა, დაიმორჩილა ხაზარებიც და ჯიქებიც და მერე ეგრისისაკენ გადავიდა. აქაც ბერძნებს გამოგლიჯა ხელიდან საქართველოს ნაწილი ციხე-გოჯამდი (შემდეგ ნაქალაქევი) და გამარჯვებული, იმავე გზით ჩამობრუნდა ოსეთიდან მცხეთაში 458 წ. და თავის და მირანდუხტიც თან ჩამოიყვანა.

რადგან ამ დროს საქართველო სპარსეთის დიდ გავლენის ქვეშ იყო, ამიტომ მის გულის მოსალბობად გაუგზავნა მეფე ორმუზდს დიდებული საჩუქრები

და მისი და ცოლად ითხოვა. ამ გვარად ქვეყნის გარემოებამ დააკავშირა ვახტანგი სპარსეთს. სპარსეთისთვისაც საჭიროიყო ეს კავშირი: ის ემზადებოდა საბერძნეთის წინააღმდეგ. მართლაც, შეერთებული ჯარები თავის მეფეებით გაეშურენ შავ-ზღვისკენ. ჩავიდენ ლაზისტანში (ტრაპიზონთან) *). ვახტანგმა კარგად იცოდა ორივე მოპირდაპირეს ძლიერება და დაადგა ისეთს გზას, რომელსაც მოითხოვდა ჩვენი ქვეყანა.

ომი კარგახანს გაგრძელდა სპარსეთს და საბერძნეთს შუა. ბოლოს მოხდა საიდუმლო მოლაპარაკება ვახტანგს და იმპერატორის ლეონის შუა მათ კარის კაცების შემწეობით. ამის შემდეგ ვახტანგმა განზე გააყენა თავისი ჯარები და უკან დაიწია. გამხნევებული ბერძნები, ეკვეთენ სპარსელებს და დაამარცხეს. ვახტანგმა კარგად იცოდა სპარსელების ხასიათი, რომ ისინი მას ამას არ შეარჩენდენ; აგრეთვე ბერძნების ძმობაზედაც ძალიან ეჭვობდა. ამიტომ, რომ სპარსელებს, ვითომ, ასიამოვნოს, ეკვეთა ბერძნების დაღლილ ჯარს და საოცრად დაამარცხა. ომში თვითონ ვახტანგმა მოკლა ბერძნების სარდალი პოლიკარტოსი. ასე რომ, როცა ლეონი შავიზღვის პირზედ გამოვიდა და გამარჯვების დროშის

---

*) სხვა ცნობაა, ვითომ ისინი მივიდენ პეტრეს-ციხესთან, რომელიც იმყოფება გურიაში და იწოდება დღეს „ვაშლნარად“.

ამართვას ფიქრობდა, მოახსენეს, ვახტანგმა ჩვენი ჯარები დალეწაო და სარდალიც კი თავის ხელით მოგვიკლაო. მაგრამ ერთმანეთი რომ ინახულეს, ვახტანგმა დაარწმუნა ლეონ, რომ ყველა ეს პოლიკარტოს უხერხულმა მოქმედებამ გამოიწვიაო.

ამ დროს ვახტანგი დაქვრივებული იყო. ლეონიც, რომ ვახტანგის კავშირი მოეგო, დაემოყვრა: მოსცა ცოლად თავისი და ელენე და მზითვად დაუბრუნა ძველიდანვე წაღებული თუხარისი (ციხე) და კლარჯეთი.

გავიდა ხანი. სპარსეთის მეფემ ფეროზმა გამოილაშქრა ვახტანგზე. ამის მიზეზი ის იყო, რომ ვახტანგმა დაუწყო დევნა ცეცხლის თაყვანის მცემლებს საქართველოში და მათი მღვდელ-მთავარი ბინქარი, რომელსაც მფარველობდა სპარსეთი, გააგდო საზღვრებიდან. ამას დაერთო მიზეზად ვახტანგის და საბერძნეთის დამეგობრება და, მაშასადამე, სპარსეთის გავლენის უარყოფა საქართველოზე. მოაწყდა სპარსეთის ჯარი საქართველოს და გაიშალა დიღომიდან მცხეთამდის. ომი გაგრძელდა ოთხ თვეს. ამ ომში მოიკლა ვახტანგის პირველ ცოლის გამზრდელი რაჟდენი*). ომი იყო მეტად გამწვავებული: ვახტანგს უნდოდა სხვის გავლენის ხელიდან გამოსულიყო, განთავისუფლებულიყო სრულიად, სპარსეთი კი ამას

*) იწამა სპარსთაგან. მის ხსენებას დღესასწაულობს ჩვენი ეკლესია 6 აგვისტოს.

ვერ ითმენდა და ყოველ საშუალებას ხმარობდა თავის გავლენა უფრო მტკიცედ ჩაეთესლა, ჩაენერგა საქართველოს ნიადაგში. ამ ომში ვახტანგს თავზე ეხურა მუზარადი, რომელზედაც წინ იყო გამოხატული მგელი, უკან—ლომი. სადაც გაჩნდებოდა, სიცოცხლეს უმწარებდა სპარსელებს. მისმა საოცარმა ხმამ და მკლავმა ისე შეაშინა მოწინააღმდეგე, რომ ყველა მისგან გარბოდა. ამ ომში დაარქვეს მას სპარსელებმა „მგელ-ლომი“, (გორგ-ასალ).

ამ დროს ხმა გავარდა, საბერძნეთის მეფემ 80 ათასი კაცი გამოუგზავნა ვახტანგს მოსაშველებლადო. ფეროზიც შეკრთა, შედგა და ზავი ჩამოაგდო. ამის შედეგი ის იყო, რომ ფეროზი დაემეგობრა ვახტანგს და მისი და მირანდუხტი ცოლად შეირთო.

დამოყვრების შემდეგ, ფეროზმა გაიწვია ვახტანგი, წაჰყოლოდა საომრად ჯორჯანეთს, სინდეთს, ინდოეთს, აბაშეთს. ვახტანგი გაჰყვა, რადგან ამას მოითხოვდა მის ქვეყნის გარემოება. აქ ვახტანგმა საოცარი სიმამაცე და მკლავის სიმტკიცე გამოიჩინა.

დიდად დასაჩუქრებული ჩამოვიდა ვახტანგი მცხეთაში.

ამის შემდეგ მეფე შინაგან საქმეებს შეუდგა. საქართველომ მოითხოვა ჩვენ საკუთარი კათალიკოს-პატრიარხი გვყოლოდა, და ვახტანგმაც ამიტომ გამოითხოვა ანტიოქიის პატრიარქისაგან კათალიკოსი. პატრიარქმაც ნება დართო და 473—475 წ. დაჯდა

პირველ კათალიკოსად მცხეთას პეტრე, ბერძენი. შთამომავლობით. ამავე ხანში ვახტანგმა დააარსა 12 ეპარქია (კლარჯეთის, ერუშეთის, წუნის, მანგლისის, ბოლნისის, რუსთავის, ნინოწმინდის, ჭერემის, ჩელეთის, ხორნაბუჯის (ჭოეთი ეხლანდელი), აგარაკის, ნიქოზის. ზემო ეკლესიას დაუნიშნა მთავარ-ეპისკოპოსი (სამოელი იყო პირველი მთავარ-ეპისკოპოსი). აშენებს არტანუჯში ციხეს, რომელმაც დღემდის მოატანა; დააარსა ტფილისი (455), მეტეხის ციხე და შიგ ეკლესია სასახლით; ააგო ჯვარი-მამა, ჩაყარა სიონის საძირკველი და მცხეთაში ააშენა ქვის ეკლესია „სვეტი-ცხოველზე". მოვლო იერუსალიმი და ჯვარის მონასტერი (სადაც კედელზე გამოხატულია მისი სახე).

გავიდა დრო. სპარსეთის მეფემ კობადმა სთხოვა ვახტანგს შემწეობა ბერძნების წინააღმდეგ. ვახტანგი იძულებული შეიქნა უარი შეეთვალა, თავის ანგარიშის მიხედვით. ამ გარემოებამ გამოიწვია სასტიკი ომი ვახტანგს და სპარსეთს შუა. ამ ომში თუმცა ქართველებმა გაიმარჯვეს და ვახტანგმა კობადის შვილი ბარტომი ომში მოკლა, მაგრამ თვითონაც დაიჭრა სასიკვდილოდ და გადაიცვალა.

ვახტანგის მეფობის დროს მოხდა ხალკიდონის მსოფლიო კრება 451 წელს. ამ კრების შემდეგ დაშორდენ ერთმანეთს სომხები და ქართველები. ვახ-

ტანგის დროსვე იწამა შუშანიკი მის მეუღლის ვასქენისაგან *).

ფარსმან VI (542—557) ფარსმან V-ის მძისწული

ვახტანგის შემდეგ ღირს შესამჩნევ ფაქტებს ვხედავთ ფარსმან VI დროს. მართალია, ვახტანგმა მა დააწესა კათალიკოსობა, მაგრამ ეს კათალიკოსი იგზავნებოდა ანტოქიიდან და იყო ბერძენთაგანი, რომლისთვის ყველაფერი ჩვენი გაუგებარი იყო. ამიტომაც, რადგან ანტიოქიისკენ მიმოსვლა ადვილი არ იყო, გზის სიშორის და შიშის გამო, გამოითხოვეს ქართველებმა საკუთარი კათალიკოსი და, როგორც იყო, დიდმეცადინეობის შემდეგ, მიიღეს ნება საბერძნეთის იმპერატორის იუსტინიანესაგან **), ჰყოლოდათ კათალიკოსად ქართველთაგანი, რომელსაც ამოარჩევდენ ადგილობრივი მღვდელ-მთავრები და აკურთხევდა კი მაინც ანტიოქიის პატრიარქი. ეს

---

*) ვახტანგის დროს მეფობენ სპარსეთში: ფეროზ (456—448); მისი შვილები ფალაში (484—488) და კობადი (488—531); ბიზანტიაში: მარკიანე (450—457); ლეონ I (457—474); ლეონ II (474—476); ზენონ (476—491)-ანასტასი (491—518).

**) პროკოპი (დაიბადა 529 წ.) მწერალი ამბობს: აფხა; ზეთში ააშენა ბიკვინტის ეკლესია იუსტინიანემ (527—565) და მოაქრისტიანა აფხაზეთი.

მოხდა 549 წ. ამ გვარად საქართველოს ეკლესია მაინც კიდევ ანტოქიის გავლენის ქვეშ დარჩა.

პირველი ქართველთაგანი კათოლიკოსი იყო საბა.

ქათალიკოსს ჰქონდა უზენაესი უფლება სასულიერო წოდებაზე: ის აკურთხევდა მღვდელ-მთავრებს და, თუ რასმე ცუდს შენიშნავდა, გადააყენებდა კიდეც*). ახალ ეპარქიებს და მათ მღვდელმთავრებს, რომელნიც ვახტანგმა დააარსა და დააწესა, მიემატა კიდე ცამეტი სირიელი მამა კაბბადოკიიდან. ესენი ჩამოვიდენ, თუ არა, დაბინავდენ საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეში და შეუდგენ ქრისტეს მცნების ქადაგებას იქ, სადაც ჯერ არ იყო, და გამტკიცებას, სადაც სუსტდებოდა. (ეს მამები არიან: ყველას მოთავე იოანე ზედაზნელი; მისი მოწაფეები: შიო მღვიმელი, ისე წილკნელი, თათე (თადეოზ) მამებელი, ისიდორე სამთავნელი, მიხაილ ულუმბელი, პიროს ბრეთელი, ილია დიაკვანი, დავით გარეჯელი, სტეფანე ხირსელი, იოსებ ალავერდელი, ზენონ იყალთოელი, ანტონი მარტყოფელი, აბიბოს ნეკრესელი). მათგან შესანიშნავია: იოანე ზედაზნელი, შიო მღვიმელი, ისე წილკნელი, ანტონი მარტყოფელი, იოსებ ალავერდელი, დავით,

*) 651 წელს საბერძნეთის ეკლესიამ პატრარქი და კათალიკოსი გაათანასწორა. ამას შემდეგ ჩვენი ეკლესია იწოდება „ავტოკეფალურ“ (ანუ დამოუკიდებელ) ეკლესიად.

გარეჯელი, აბიბოს ნეკრესელი და ზენონ იყალთოელი.

ამ დროს დაარსდა შავ-ზღვის პირად ლაზიკის სამეფო, რომელშიაც შედიოდა ჭორჭის ხეობა, რიონი, ყვირილა, ძირულა, ჩხერიმელა, სამცხე, მტკვრამდის, სამეგრელო, იმერეთი, გურია და ლაზისტანი ტრაპიზონამდის. პირველი მათი მეფე იყო გუბაზი.

590 წლიდან ადარ იხსენებიან ლაზები.

ბაკურ III (557—570)

ბაკურ მესამის დროს სხვა ხანა დადგა: მისი მემკვიდრეები, სისუსტის გამო, ქვეყანას ველარ უვლიან და, სპარსელებისკან შეშინებული, გადადიან კახეთში. ქართლი დარჩა უპატრონოდ. ნებაზე მიშვებული სპარსელები, შემოდიან თამამად ქართლში, იჭერენ და ავრცელებენ ცეცხლის თაყვანის ცემას. ერისთავებიც თვისთვისად განდგენ, თუმცა იძულებული შეიქნენ, მაინც ხარკი ეძლიათ სპარსელებისთვის.—ცეცხლის თაყვანის მცემლობას წინაღუდგა აბიბოს ნეკრესელი, მაგრამ იწამა მათგან.*)

საქართველოში მეფობდა ხუთი დინასტია:

1) ქართლოსიანი 302—162 წლამდი.

2) ნებროთიანი 162—93.

---

*) მისი ხსენებაა 13 ნოემბერს.

3) არშაკუნიანი 93—265.

4) სასანიანი ანუ ხოსროიანი 265—570.

5) ბაგრატოვანი 575—1800.

ჩვენი მატიანე ამბობს, რომ ქართლოსიანი, ნებროთიანი და არშაკუნიანი იყვნენ გმირებიო, ხოსროიანი—გოლიათები (ახოვან ტანის მეჭონი და შემმართებელი), ბაგრატოვანი კი ცნობილია როგორც ბრძენი, ქველი და ქვეყნისთვის თავდადებული.

ვინ იყვნენ ბაგრატიონები?

ამის შესახებ არის ორი აზრი:

ა) კოსტანტინე პორფიროგენეტი (912—959) 951 წელში მოგვითხრობს შემდეგს: „იბერიის კუროპალატები*) თავის თავს თვლიან დავით წინასწარმეტყველის და ჰურიას შთამომავლად და, მაშასადამე, ღვთის მშობლის ნათესავად. ისინი გამოსულნან იერუსალიმიდან და დამყარებულან სპარსეთში იმ ალაგს, რომელსაც ფლობენ ეხლაკაო. იყო ორი ძმა: დავით და სპანდიატი. სპანდიატს ისეთი ძალა ჰქონდა, თურმე, მინიჭებული ღვთისაგან, რომ, თუ გულში არ მოხვდებოდა მტრის მახვილი, სხვაგან მისი დაჭრა არ შეიძლებოდა. ამიტომაც ის საშიშარი იყო სპარსეთისათვის. მან სძლია სპარ-

*) კუროპალატი ჰქვია დასავლეთის საქართველოს მთავრებს, რომელთაც ადგენდენ, ნიშნავდენ ბერძნები (დ. ბ.).

სეთი, დაიმონავა და დაამკვიდრა თავისი გვარი შეუალს ადგილებში, სადაც ახლაც იმყოფებაო. შემდეგში ძალიან გავრცელდა და დიდ ტომად გადაიქცაო, ამბობს კოსტანტინე პორფიროგენეტი.

ბ) ნაბუქოდონოსორმა რომ ურიები დაატყვევა, სომხეთის მეფემ ჰრაჩემ (700—678) გამოსთხოვა მას ერთი ურიათაგანი შამბათი (სუმბათი). ამ შამბათის (სუმბათის) შთამომავალთაგანი იყო ბაგარატი, ანუ ბაგრატი, რომელმაც დაიმსახურა სომხეთის მეფის ვაჰარშაკის (149—127) დიდი პატივის-ცემა და კეთილ-განყოფილება: მან მიიღო უფლება, რომლის ძალით მხოლოდ მის გვარს შეეძლო მემკვიდრეობით დაედგა მეფისათვის გვირგვინი. იმ მეფისვე წყალობით, გახდა ბაგრატი მხედართ-მთავარი და ყველა დიდებულებზე უპირატესი. ამ ბაგრატისგან წარმოდგა **ბაგრატოვანი**. ბაგრატოვანები ცხოვრობდენ კლარჯეთში და ერთობ ძლიერები იყვნენ, მაგრამ მაინც თავის-თავს ვერ უწოდებდენ მეფედ სპარსეთის და საბერძნეთის შიშის გამო: ისინი ხადოდენ თავიანთ თავს **მამფლებად** (მამფალი, მეფის მოადგილე, მთავარი, ერისთავთ-ერისთავი). რადგანაც ამ ხანაში კლარჯეთი ბერძნების ხელში იყო, ამიტომ კლარჯეთის ბაგრატოვანები ძალა-უნებურად იწოდებოდენ ბერძნების ერისთავთ-ერისთავად, მთავრად ანუ „**კურაპალატად**“ (სახლთ-ხუცესი, გოფ-მარშალი) და ისხდენ კლარჯეთში „სემბატავანის ციხესიმაგრეში“. აქედან ბაგრატოვანები ემოყვრებიან

მეათე საუკუნეში აფხაზეთის მეფეს, ავრცელებენ იქ თავის გავლენას და ბოლოს იქედან გადმოდიან მეფეებად ქართლში.—რადგან დავით წინასწარმეტყველის შთამომავლობად თვლიდენ თავის თავს ბაგრატოვანები, ამიტომ მათ ღერბზე ჰქონდათ, სხვათა შორის, შერდული და ქნარი.

პირველი ბაგრატოვანი, რომელიც საქართველოს ტახტზე ავიდა, იყო გვარამ (575—600) კუროპალატი კლარჯელი, რომელიც იყო დადგენილი ბერძნებისაგან, ქართველების თხოვნით და იყო ნათესავი ვახტანგ გორგასლანის.

გვარამის დროს იუსტინე, საბერძნეთის იმპერატორი, ებრძვის სპარსეთის მეფეს ქასრეს (ხოსროს) და ჩვენი კუროპალატი, რასაკვირველია, იუსტინეს ჰკერძავს. რაკი ზურგი მაგრად აქვს გვარამს, თამამად შედის სპარსეთის საზღვრებში ქართველ-ბერძნების ჯარით და არბევს მის სანახებს. განსაკუთრებით ეტანება ადრიბეჯანს.

გვარამი დარწმუნებული იყო, რომ, როგორც კი მოიცლიდა სპარსეთი, არ დაზოგავდა ჩვენს ქვეყანას. ამის მიხედვით, ის ამაგრებდა ციხეებს და ყოველთვის მზად იყო. ამ შიშსაც მალე მოელო ბოლო: ქასრე დაუმოყვრდა საბერძნეთის კეისარს მავრიკის (მავრიკის ქალი შეირთო ქასრემ). ამ გარემოებას მოჰყვა მოლაპარაკება, რომლის შედეგი იყო საქართველოს განთავისუფლება სპარხეთის გავლენისაგან.

გვარამის დროს მოხდა დვინში 596 წ. სასულიერო კრება, რომელზედაც დაესწრენ ჩვენი კათალიკოსი კირიონი და სომხების—აბრამი. ამ კრების მიზანი იყო ვითომ შეერთება ორივე მეზობელ ხალხის, მაგრამ კრებამ უფრო დააშორა ერთმანეთი.

მთავარი სტეფანოს I გურამის-ძე (600—619). ამის დროს ქართველებმა და აფხაზებმა პირობა მისცეს საბერძნეთის კეისარს ერეკლეს, სპარსეთის წინააღმდეგ მოგეხმარებითო, მაგრამ, როცა ერეკლე ტფილისთან მოვიდა, ქართველობამ უარი განაცხადა და სპარსელებს მიემხრო. ამ გარემოებამ გააბრაზა ერეკლე და ამიტომაც თვითონ მთავარს სტეფანოსს გამოუცხადა ომი; დაამარცხა კიდეც, აიღო ტფილისი, და თვითონ მეფეც ომში მოიკლა. მის მაგიერ მეფედ დაადგინა ერეკლემ ადარნასე I ბაკურის-ძე (619—639) ხოსროიანი.

ერეკლეს გალაშკრების მიზეზი ის იყო, რომ სპარსეთის მეფემ ხოსრომ აიღო იერუსალიმი, მოიტაცა „ძელი-ჭეშმარიტი“ და წაიღო სპარსეთში. ბოლოს მაინც ერეკლემ დაამარცხა ხოსრო, გამოიხსნა „ძელი-ჭეშმარიტი და გამობრუნდა უკან. შემოვიდა ისევ ივერიაში და გააძევა სპარსელები სადაც კი იყო. აქ ყოფნის დროს მედგრად ებრძვის ერეკლე ცეცხლის თაყვანის ცემას, და იმავე დროს აშენებს აწყურის „ღვთის მშობლის“ დიდებულ საყდარს.

წავიდა, თუ არა, ერეკლე სპარსელები ისევ შემოდიან და გაბატონდებიან. ამ დროს ეწამა ცეცხლის მსახურ სპარსელებისაგან ესტატე მცხეთელი.

მთავარ ადარნასე I (619—639) დროსვე გამოითხოვეს და ნება მიიღეს ქართველებმა მცხეთაში კურთხეულ იყო კათოლიკოსები. ამ გვარად ანტოქიაში ხელდასხმული უკანასკნელი კათალიკოსი იყო მცხეთაში იოანე. ადარნასემ დაასრულა ტფილისის სიონი და ჯვარის საყდარი მცხეთის პირდაპირ.

ამ ხანაში გამოჩნდება აზიაში მაჰმადი (571—632), რომელმაც საშინელის სისწრაფით მოფინა თავისი ახალი სწავლა არაბეთში და არაბეთიდან მისმა მემკვიდრეებმა ცეცხლით და მახვილით იწყეს მისი გავრცელება დანარჩენ ქვეყნებში. მათ დაიპყრეს ანტიოქია, დამასკი, იერუსალიმი, კიპრი, ფინიკია. დაამხვეს სპარსეთი, დაიჭირეს ეგვიპტე, აფრიკა, საშვალო-აზია, მცირე-აზია, ინდოეთი, კაბბადოკია, ზემო-ქართლი, აიღეს ტფილისი, მის ციხეში თავისი ჯარი შეაყენეს და ქალაქი ტფილისი გახადეს თავის მოხარკედ.

მეფე მირ სტეფანოზ II მე ხოსროიანი (663—668)

მირის დროს მოვიდა არაბი მურვან ყრუ, რომელმაც დაიმორჩილა მთელი კავკასია დარუბანდიდან დარიალამდი. აქედან დაეშვა მცხეთისკენ და

ყველაფერი ცეცხლს და მახვილს მისცა. ამ დროს მირი და მისი ძმა არჩილი ეგრისში იყვნენ და ჯარებს აგროვებდენ. მურვანი მივიდა ოძრახეს (აბასთუმანს) და იქიდან აპირებდა გადასვლას იმერეთში. აბასთუმნის მახლობლად მოხდა ომი, რომელშიაც დამარცხდენ ქართველები და დაიწყიენ უკან,—გადავიდენ იმერეთში. აქ მეორე საშინელ შეტაკებაში არგვეთს*) ქართველების ჯარებს მოთავეობდენ არგვეთის მთავრები დავით და კოსტანტინე (მხეიძეები). თავ-განწირულად იბრძოდენ ქართველები, მაგრამ აუარებელმა მტრის რაზმმა სძლია ქართველობა და ორივე სარდალი ტყვედ ჩაუვარდა ხელში მურვანს. მურვანმა ურჩია ორივეს, მაჰმადიანობა მიეღოთ, მაგრამ მათ უარი განაცხადეს. ამიტომაც ორივე ეწამენ უწყალო მურვანისგან**).

აქედან, დამარცხების შემდეგ, მირი და არჩილი გადავიდენ აფხაზეთში***). მიჰყვა კვალ-და-კვალ მეფეს მურვან ყრუ. ცხენის-წყლის და აბაშის შუა, ერთხელ კიდე შეებრძოლენ ძმები მურვანს. აქ კი ბედის ჩარხი დატრიალდა უკულმა: დამარცხდენ არაბები, მაგრამ ამავე ომში დაიჭრა და ჭრილობისგან გადაიცვალა მირი.

---

*) იმერეთშია.

**) მათი ხსენებაა 2 ოქტომბერს.

***) ანაკოფიას ანუ ნიკოფსიას, სადაც მდებარებს ორი ტაძარი: ბიჭვინტა და სიმონ კანანელის ტაძარი.

მეფე არჩილ, მირის ძმა (668—718)

ამით არ გათავებულა ჩვენი ტანჯვა: 718 წ. შემოვიდა საქართველოში მაჰმადის ნათესავი ჭუმ-ჭუმ ასიმი აუარებელ ჯარით. ვერაფერმა მათი წინ-მსვლელობა ვერ შეაჩერა: დაარბია, გაავერანა ქართ-ლი და აქედან კახეთს გადავიდა. არჩილმა განიზ-რახა წასულიყო ჭუმჭუმთან, რომ ქვეყანა შეებრა-ლებინა და აოხრებას აეცდინა. მისული არჩილი ჭუმჭუმმა მეტად შეიყვარა ახოვნებისათვის და შვენი-ერებისათვის; დიდი პატივიც სცა, მაგრამ, როცა წი-ნადადება მისცა არჩილს, მაჰმადიანობა მიეღო და ამან უარი განაცხადა, გვლარძნილმა გველმა აწამა მეფე არჩილი 20 მარტს*).

გული რომ იჯერა, იძლო ჩვენი სისხლით ჭუმ-ჭუმმა, გაბრუნდა უკან.

ამის შემდეგ არაბებმა ერთობ შეასუსტეს ბერ-ძნების ძალა, ამიტომაც ბერძნების ერისთავმა აფხა-ზეთში ლეონ II (+806), რომელიც იყო ლეონ I ძმის წული, განუდგა საბერძნეთს, დაიპყრა ეგრისი-ლიხის მთამდი და იწოდა აფხაზეთის მეფედ 786 წელს. მანვე სატახტო ქალაქად გახადა ქუთაისი.

არჩილის შვილები იყვნენ იოანე და ჯუანშერ. ესენი გადაიცვალენ უშვილოდ (786—787 წ). ამის

---

*) დასაფლავებულია ნოტკორას მისგანვე აშენებულ ტა-ძარში.

შემდეგ ისევ გაძლიერდენ კლარჯეთის ბაგრატოვანები და დაიპყრეს ქართლი.

აშოტ ადარნასესძე დიდი კურაპალატი (786—826)

აშოტის სამფლობელო იყო კლარჯეთი, საიდანაც შემოვიდენ ჩვენში პირველად ბაგრატოვანები. ამის დროს ტფილისში ზის არაბების ემირი ალი-შუაბის-ძე და ტფილისის ციხეში—მათი ჯარები. თვითონ აშოტი ცხოვრობს ხან ბარდაში*) და ხან—ტფილისში. ქართლში არაბების დიდი გავლენაა. კახეთში ამ დროს მთავრობს გრიგოლ (787—827). ეს მთავარი პირველად იწოდება ქორიკოზად (მეფის მონაცვლედ).

ამის შემდეგ იყვნენ: ვაჩე ოთხნე ქვაბულის-ძე (827—839). სამოელ დონაური (839—861). გაბრიელ დონაური (861—881)**). ფადლა I არევმანელი (881—893). კვირიკე I (893—918). ამის დროს არაბების ემირი იჭერს უჯარმას და ბოჭორმას. კვირიკეს ცოლის დინარის წყალობით ჭერეთი ჩვენ სარწმუნოებას მიიღებს. ფადლა II (918—929)***) აშენებს დოწო-

*) ბარდა არის მდინარე ყარაბაღში. ეხლა ეძახიან ტერტერს. ამ მდინარეზე იყო ოდესმე დიდი და მდიდარი ქალაქი ბარდა.

**) სამოელ დონაურის ძმისწული იყო ილარიონ კახელი.

***) ეს იწრდა მეფედ პირველ და მის შემდეგ ბოლომდის ყველა კახეთის მფლობელები ატარებდენ მეფის ხარისხს.

ბანის-ციხეს. მის დროს არაბები აოხრებენ კახეთს. ფა-
ლდა შვილის ათხაზეთის მეფეს გიორგი II უფლის-
ციხის დაპურობაში.

კვირიკე II (929—976). ამას განუდგებიან კახე-
ლები და მოიწვევენ ათხაზეთის მეფეს გიორგი II, რო-
მელიც იჭერს კახეთს. გიორგის და მის შვილის ლეო-
ნის სიკვდილს შემდეგ კვირიკე II იბრუნებს კახეთს.
დავით (976—1010) ებრძვის ბაგრატ III და იძლევა.
კვირიკე III (1010—1029). ამ კვირიკეს იჭერს ბაგ-
რატ III და კახეთს შემოიერთებს. ბაგრატის შემდეგ
კვირიკე იჭერს კახეთს ჭერეთიოურთ და თელავს აწე-
სებს სატახტო ქალაქად.

აღსართან I (1058—1084) ამის დროს ბაგრატ IV
იჭერს ჭერეთს, მაგრამ სულტანი არბ-არსლანი უბრუნებს
ისევ აღსართანს, რადგან მან მიიღო მაჭმადიანობა.

კვირიკე IV (1084—1102). დავით აღმაშენებელი
ართმევს მას ზედაზენის ციხეს. აღსართანი II (1102—
1105). უზნეო აღსართანს იჭერენ ჭერეთლები და კა-
ხელები და მიჭგვრიან დავით II; ეს დავითი მთელ კა-
ხეთს და ჭერეთს შეუერთებს ქართლს.

კლარჯელების შემწეობით აშოტი იპყრობს
ქართლს. ამ სასიქადულო საქმეში მას მხარს აძლევს
ათხაზეთის მთავარი თევდოსე I. აშოტი აპირებს
საქართველოს გაერთიანებას. ამ გარემოებამ შეა-
შინა კახეთის მთავარი გრიგოლი, რომელმაც ამი-
ტომაც მიჰყერძა ტფილისის ემირს. აშოტი გადა-
იჭრა კახეთში, დაამარცხა გრიგოლი და თავის

მფლობელობა ქსნამდე გაავრცელა. აქედან მიჰყვა აშოტი ნელ-ნელა და ხელში ჩაიგდო ქართლის ნაწილები. ამის შემდეგ ემირიც განაძო ტფილისიდან. გაბრაზებული ხალიფა ხალიდა იეზიდის-ძე შემოიჭრა კლარჯეთში 826 წელსა და ეკვეთა აშოტის ჯარს. აშოტი მოუმზადებელი შეიქნა და დამარცხდა. დამარცხებულმა მიმართა ვახტანგ გორგასლანის ციხეს არტანუჯში. არაბები კვალ-და-კვალ მიჰყვენ აშოტს. აშოტი იძულებული იყო შესულიყო პეტრე-პავლეს საყდარში, რომელიც მანვე ააგო არტანუჯში ვახტანგ გორგასლანის ციხეში. გამხეცებული არაბები შეჰყვენ საყდარში და ზედ, ტრაპეზზე, დააკლეს ქვეყნისთვის თავდადებული მეფე 29 იანვარს. აქვეე დასაფლავებულია თავ განწირული მეფე აშოტი.

აშოტისაგან არის აშენებული ართვინის მაზრაში ოპიზის ტაძარი, რომელსაც თავის სიდიდით და ხელოვნებით ყველა მნახველი განცვიფრებაში მოჰყავს. მის დროს შემოდის ხმარებაში ხუთასიანი ქორონიკონი. აშოტის დროსვე ეწამა ტფილისში აბო სპარსელი 820 წელს 6 იანვარს ძმარა ძუმნის აბდილასაგან, რომელიც იყო ბაბილონის მფლობელი*).

---

*) მაშინ ქართლში ერისთავობდა ნერსე. ამ აბდილამ დააარსა ბაღდადი 762 წ.

ბაგრატ I აშოტის-ძე კურაპალატი (826—876)

ბაგრატი ამარცხებს აფხაზეთის მეფეს თეოდოსეს I (826—876) და აწესებს აფხაზეთში კათალიკოსობას. ბაგრატის დროს ლიპარიტი (მომავალში ორბელიანი) იპყრობს თრიალეთს და აშენებს კლდე-კარის ციხეს. მის მეფობის დროს მოვიდა არაბების მხედართ-მთავარი ბუღა, რომელმაც დაიპყრა ქართლი და დმანისში დაასახლა დარიალიდან ჩამოყვანილი ოსები; მანვე დააბინავა დარუბანდიდან გამოყვანილი ხაზარები შანქორს. ბაგრატი აძლევს ხარკს არაბებს. მის დროს აფხაზეთის მეფე გიორგი II კოსტანტინეს-ძე აშენებს ჭყონდიდს და აწესებს იქ კათედრას. ხალიფის ძე მოამედ 855 წელს აწამებს ზემო-ქართლის მთავარს კოსტანტინეს.

მეფე ადარნასე II დავითის-ძე კურაპალატი (881—923)

ამის მეფობაში შენდება კვირიკე ბანელის ხელით დიდებული ბანის ეკლესია ჭოროხის ხეობაში ოლთისის მახლობლად, და პირველ ეპისკოპოსად ჯდება ადარნასესგან მისივე მაშენებელი კვირიკე *).

*) აქ არიან დასაფლავებული მეფე ვახტანგ IV ალექსანდრეს-ძე (1442—1445) და მისი მეუღლე სითიხათუნ.

იმავე ხეობაში აშენებს ადარნასე ეოშხის კიდე უფრო დიდებულ ეკლესიას. თორთომის ტბის მახლობლად.

ადარნასეს დროს ისახელებს თავს საბერძნეთში ილარიონ ქართველი (კახელი), რომელიც გადაიცვალა 882 წელს თესალონიკეს იმპერატორ ვასილ მაკედონელის დროს (867—886). ამან ააშენა სტამბოლის მახლობლად, რომანის ხეობაში, სოსტენის ადგილს, მონასტერი წმ. მოციქულების სახელზე, სადაც მოუსვენებია მისი გვამი იმპერატორის შვილებს ლეონს და ალექსანდრეს და იქ დაუკრძალავთ.

ადარნასეს დროსვე შემოდის ქართლში არაბი იუსუფი (აბულ კასიმი) და სამცხეში, ყველის-ციხის აღების დროს, აწამებს წმ. გობრონს 912 წ.

სუმბატ ადარნასე II ძე მეფე კურაპალატი (923—958)

მისგან აშენებულია ჯორეხის ხეობაში ლოდისუანის დიდებული ეკლესია ართვინის მაზრაში, როგორც წარწერა გვეუბნება. მისვე დროს ეკუთვნის ჯრუჭის სახარება ტაოზე გადაწერილი 936 წელს და «სწავლანი და მოძღვრებანი მამათანი» 926 წლის.

ათხაზეთის მეფე დეონ III (+957) აშენებს მოქვის ეკლესიას და ნიშნავს იქ ეპისკოპოსს. მის დროს აშენებულია ოთხნე ეპისკოპოსისგან უუმურდოს ეკლესია ზემო-ქართლში.

დავით დიდი ადარნასეს მე კურაპალატი (+1001)

უცხო მწერლები მიაწერენ დავითს შემდეგ ღირსებას: ის იყო ღრმად დამკვირვებელი, გონება-გამჭრიახი, დინჯი, სიტკბოებით და მშვიდობის მოყვარეობით მეტად შესამჩნევი. ეს ჩამოთვლილი თვისება ისეთი რამ ღირსებაა, რომ მტერს გულს მოურბილებს და მოყვარესეს შურს მოჰგვრის. მან ამოკვეთა ომიანობა, რომელიც კი ყოველ მხრიდან ატეხილი იყო ჩვენ საზღვრებზე. მის დროს საშინელი განსაცდელი მოადგა საბერძნეთს: აუჯანყდა საბერძნეთის იმპერატორს ბასილ II ბარდა სკლეროსი 976 წელს. დაამარცხა საბერძნეთის ძლიერი ჯარი, შუაში გააპო მთელი საბერძნეთი და ერთი ნახევარი ხელში ჩაიგდო. არა ერთხელ შეებრძოლენ ბერძნები ბარდას, მაგრამ მაინც გამარჯვებული დარჩა უკანასკნელი. მთელი საბერძნეთი შიშის ზარმა მოიცვა: სოფელი ებრძოდა სოფელს, ქალაქი—ქალაქს; ყველგან სისხლის ღვარი მიდიოდა. ბარდამ განიზრახა ბერძნების სატახტო ქალაქზე მისვლა.

გაჭირებულმა ბასილმა მომართა დავით კურაპალატს. დაუბრუნა ყველა ის ადგილი, რომელიც ძველიდანვე საქართველოს ეკუთნოდა და დღეს ბერძნების ხელში იყო.—სამაგიეროდ ბასილმა სთხოვა დავითს შემწეობა ბარდას წინააღმდეგ. აუსრულა დავითმა ბასილს თხოვნა: გაგზავნა 12 ათასი რჩეუ-

ლი ქართველი და თან სარდლად აახლა მთავართ-
მთავარი ჯოჯიკი და თორნიკე ერისთავი.

ომი მოხდა ჰალისის პირზე 977 წელს. და-
მარცხდა საოცრად ბარდა და თავს ძლივს უშველა.
ამ სასიქადულო მოღვაწეობისთვის დიდად დასაჩუქ-
რებული შეიქნა თორნიკე ბასილისგანაც და დავი-
თისგანაც. ღირსეულად დასაჩუქრებული თორნიკე
გაეშურება ათონისკენ და დაარსებს იქ „ივერიის“
დიდებულ ლავრას 982 წელს.

ეს ის დროა, როდესაც ქართლის ერისთავთ-
ერისთავს გურგენს ერთობ აწუხებენ კახელები: შემო-
დიან და იჭერენ უფლის-ციხეს და მის მიმდგომ ად-
გილებს. შეკრბენ მაშინ ქართლის ერისთავები და
ქართლისვე ერისთავის იოანე მარუშიძის რჩევით მი-
მართეს ტაო-კლარჯეთის მამფალს დავით კუროპა-
ლატს, რომ ან მას მიეღო ქართლის მეფობა და ან
გაემეფებინა ქართლის ერისთავთ-ერისთავის გურგენის
შვილი ბაგრატ III. რადგან დავითი უშვილო იყო
და თან ნაშვილებიც ჰყავდა ბაგრატი, ადვილად
აუსრულა მათ თხოვნა: შეიერთა ქართლი და მეფედ
გამოაცხადა ქართლში ბაგრატი, მაგრამ, რადგან ბაგ-
რატი მცირე-წლოვანი იყო, მმართველად და ქვეყ-
ნის გამგედ დანიშნა მამა მისი გურგენი.

ამავე დროს აფხაზეთში მეფობს თევდოსე მტარ-
ვალი, რომელმაც ერთობ შეაწუხა აფხაზეთი. ამიტომ
აფხაზებმა იმავე იოანე მარუშიძის რჩევით სთხო-
ვეს დავითს, ან მას მიეღო აფხაზეთის მეფობა და ან

დაედგინა ქართლის ერისთავთ-ერისთავის გურგენის შვილი ბაგრატ III, რომელიც დედით (გურანდუხტ) აფხაზეთის მეფის გიორგის შვილი იყო და, მაშასადამე, მემკვიდრეობით აფხაზეთიც მას ეკუთვნოდა. დავითმა ადვილად შეუსრულა თხოვნა აფხაზებს: განაძევა თევდოსე აფხაზეთიდან და 985 წ. ბაგრატ III გამოაცხადა აფხაზეთის მეფედ. ამგვარად გაერთიანებულ ქვეყანას დავითმა მიუმატა თავისი კლარჯეთიც და ისე გადასცა ბაგრატ III თავის სიკვდილის შემდეგ.

მეფე ბაგრატ III გურგენის-ძე (980—1014) *)

როგორც კი ტახტზე ავიდა ბაგრატი, განუდგენ ქართლს ზოგიერთი დიდებულები, რომელთაც გადაიბირეს ქართლის აზნაურობის არა-მცირედი ნაწილი. მეამბოხეებმა მიიმხრეს აგრეთვე კახეთის მეფე დავითი. ყველა განდგომილებს მოთავეობდა ქავთარტბელი. შეთქმულები იდუმალ დაეცენ უფლის-ციხეს, აიღეს და კახეთის მეფეს გადასცეს. ბაგრატმა კარგად იცოდა, რა გაზვიადებულ დიდებულებთანაც ჰქონდა საქმე და ამიტომაც მსწრაფლ შემოიკრიბა ჯარი. ეკვეთა გალაღებულ ფეოდალებს, რომელთაც ქვეყნის ინტერესზე მაღლა თავისი ინტერესები დაეყენები-

*) ბაგრატს ჰყავდა ცოლად საბერძნეთის იმპერატორის კოსტანტინეს ასული ელენე და რუსეთის მთავარს ვლადიმირს იმავე იმპერატორის და—ანნა.

ნათ და საოცრად დაამარცხა. აქედან გადიჭრა კახეთისკენ, მილეწ-მოლეწა კახეთი, დაიმორჩილა და მმართველად დანიშნა თავისი ერთგულთაგანი ბბუ[illegible]ლი. დავითის შემდეგ აუჯანყდა ბაგრატს დავითისვე შვილი კვირიკე III დიდი (1010—1029). ბაგრატმა მეორედაც დაამარცხა კახელები და კვირიკე დატუსაღებული ბოჭორმის-ციხეში დაამწყვდია. გაიარა მცირე ხანმა და განუდგა მეფეს ერისთავი რატი, რომელიც ფლობდა ატენის ხეობას და მის ციხეს, თრიალეთს, ვერის-ხეობას, მანგლისის ხეობას და აგრეთვე იმერეთში—არგვეთს. ამ აჯანყების დროს ბაგრატი იყო აფხაზეთში. შეიტყო, თუ არა, ეს ამბავი, გადმოიჭრა ლიხის მთაზე რატის დასასჯელად. შეშინებულმა რატიმ ითხოვა პატივება და მძევლად მისცა თავისი შვილი ლიპარიტი, თვითონ კი გადავიდა არგვეთს.

სანამ უმადურ რატის თავიდან მოიშორებდა, ისევ გაიღვიძა კახეთმა და თავისებურად აიღო თავი: იდუმალ მოიწვია განძის ემირი ფადლონი, რომელმაც, კახელებისვე შეგონებით, იწყო კახეთის რბევა. ბაგრატი გაეშურა საომრად ფადლონის წინააღმდეგ. შეშინდა ფადლონი და დაიმალა. ბაგრატმა მოარბია რანი (ყარაბაღი) და დაანგრია შანქორი თავის სიმაგრეებით. ზარ-განხდილმა ფადლონმა ითხოვა ზავი, შეიქნა მისი მოხარკე და თან—მოვალე, რომ, სადაც მიიწვევდა ბაგრატი მტრის წინააღმდეგ საომრად, ის მაშინვე უნდა გამოცხადებულ იყო თავის ჯარით.

ამას შემდეგ ბაგრატმა დაიპყრა ადირბეჟანი, შირვანი, ჩრდილოეთი კავკასია და ჯიქეთი (ჩერქეზეთი).

ბაგრატი კარგად ხედავდა, რომ დიდებულები მაინც კიდევ არ დაცხრებოდენ და ამიტომ იხმარა ახალი საშვალება: ერთხელ მოიწვია, ვინც კი დარჩა მისი ნათესაობა, ფანასკერტის ციხეში (კლარჯეთში), შეიპყრა და გასწყვიტა. ზოგმა კი მაინც თავს უშველა: საბერძნეთში გაიქცა. ასე შეაერთა მთელი კავკასია თავის სკიპტრის ქვეშ ბაგრატმა შავი-ზღვიდან კასპიის ზღვამდი.

ბაგრატის დროს განითქვა ჩვენი ხუროთ მოძღვრება: მან ააშენა ეკლესიები ანის (996 წ.), ბიეთის 995 (ახალციხის მაზრაში), ბედიაში; მისვე დროს არის აშენებული ვერის საყდარი 1001 წ. (ქართლშია), ზარზმის (ახალ. მაზრაში), ქუთაისის (1003 წ.), წვიმოეთის (1002 წ.) და ხერთვისის ციხის ეკლესია (985 წ.).

მის დროსვე ბრწყინავენ ათონზე:

იოანე ათონელი და მისი შვილი ექვთიმე, რომელნიც განითქვენ როგორც საღმთო წიგნების მთარგმნელები. ექვთიმემ თარგმნა ბერძნულად „ბალავარი“ და „აბიკურა“.

იოანე გრძელისძე. მან დასწერა „დარღვევა მაჰმადიანთა სარწმუნოებისა“.

იოანე ხახულელი, ოქროპირად წოდებული, მოღვაწეობდა დავით კუროპალატის დროს (ამ დავითმა ააგო ხახულის ტაძარი ჭორუხის ხეობაში).

ვასილი ბაგრატისძე. მან გადმოთარგმნა „ლავსაიკონი“ და „წიგნი ასურისა“.

ზაქარია მარდატისძე. მან თარგმნა „საუნჯე“ კირილე ალექსანდრიელისა.

თორნიკე ათონელი, რომლის მეოხებით დაარსდა 982 წ. ათონში „ივერიის“ ლავრა.

იოანე ბერაი. მან შეადგინა შატბერდის კრებული, რომელშიაც შეტანილია საქართველოს მოკლე ისტორია და ვრცელი მოთხრობა ნინოს და მირიანის შესახებ.

სუმბატი. მან დასწერა ბაგრატიონების ისტორია დასაბამიდან მე-XI საუკუნემდე.

იოანე. მან შეადგინა დიდი საგალობელი ნოტებით. ამ საგალობელშია შეტანილი სტეფანე ტბეთის ეპისკოპოსის ნაწერი და წმინდა აბოს ცხოვრება.

გიორგი მოაწმადელი. მან გადმოთარგმნა: სვინაქსარი, თვენი, დავითნი ლექსად, ხელახლად გადმოთარგმნა სახარება, რომელსაც დღეს ვხმარობთ.

თვითონ ბაგრატმა დასწერა „აფხაზეთის ისტორია“ *), რომელიც ჯერ-ჯერობით დაკარგულია

---

*) ამას მოგვითხრობს იერუსალიმის პატრიარქი დოსითეოს, რომელიც იყო საქართველოში მეჩვიდმეტე საუკუნეში და მეთვრამეტეს დამდეგში. დოსითეოსი ამბობს, რომ ჩემი ცნობები საქართველოზე ამოვიღე ამ ისტორიიდანო, რომელიც დაწერილია 992 წელს. დოსითეოსს ჩამოთვლილი ჰყავს ამ ისტორიიდან აფხაზეთის ყველა მთავრები და მეფეები ლეონ I-დან თევდოსე II-მდე.

ჩვენთვის. ბაგრატი გადაიცვალა 7 მაისს ფანასკერტის ციხეში. დასაფლავებულია ზვიად ერისთავის ხელით ბედიაში. მის დროს შემოდის ხმარებაში არაბული ციფრები. ბაგრატის დროს კათალიკოსობს მცხეთაში დიდებული მელიქსედექი, რომელმაც განაახლა და შეამკო სვეტი-ცხოველი.

გიორგი I ბაგრატის-ძე (1014—1027)

მოკვდა, თუ არა, ბაგრატი, მაშინვე განუდგენ გიორგის კახელები. ამას კიდევ დაემატა ერთი გარემოება: საბერძნეთის იმპერატორმა ბასილ II მოსთხოვა გიორგის, დაებრუნებინა ყველა ის ადგილი, რომელიც ეკუთვნოდა საქართველოს დავით კურაპალატის დროს ე. ი. კლარჯეთი და მისი მიმდგომი ქვეყნები. გიორგიმ უარი შეუთვალა. ასტყდა ომი ბასიანში სოფელ **შირიმთას**. ომი იყო ცვალებადი და ხანგრძლივი. ბოლოს იძლია გიორგი და მოიკლა დიდი ერისთავები რატი ლიპარიტის ძე და ხურსი. ამათთან ტყვედ მოჰყვა ზვიად ერისთავიც. მეფე იძულებული შეიქნა, დაეთმო ძველი თავისი ადგილები და მძევლადაც მიეცა ბერძნებისთვის თავის 3 წლის შვილი, მომავალი ბაგრატ IV.

მეფე ბაგრატ IV გიორგის-ძე (1027—1072)

ბაგრატი დაიბადა 1018 წელს ტახტზე ავიდა 9 წლის. ამ დროს სამშვილდე, ბირთვისი და ფარცხი-

სი არაბების ხელშია; ტფილისში ზის არაბების ემირი (მართველი) ჯაფარი და ციხეში — მათი გარნიზონი. ბერძნების ხელშია ეგრისი ენგურამდი და სამხრეთ-საქართველო.

ეს არ აკმარეს ქვეყანას ორგულებმა: 1028 წელს განუდგენ ტაოელი ვაჩე კარიჭის-ძე და ბანელი ეპისკოპოსი იოანე და მოიწვიეს ბერძნები. კოსტანტინემ, ვასილის ძემ, თავის ჯარებს გამოატანა დიმიტრი, კლარჯელ სუმბათის შვილი, რომელიც გვარად ბაგრატოვანი იყო და, მაშასადამე, მეფის მონათესავე. ამით ბერძნებს და მეამბოხე ქართველებს უნდოდათ თავისი მოქმედება გაეთეთრებინათ: ვითომ, ისინი იბრძვიან საქართველოს წინააღმდეგ კი არა, — დიმიტრისთვის, რომ, თუ ის იქნება მეფედ, უკეთ შეიძლება ქვეყნის საქმის წარმართება. დამარცხდენ ქართველები. ბერძნები და მეამბოხეები წამოიწიენ წინ და მოადგენ კლდე-კარს. აქ წარმოუდგენელი მხნეობა გამოიჩინა ერისთავთ-ერისთავმა, კლდე-კარის პატრონმა, ლიპარიტ ლიპარიტეს-ძემ, რომელიც ჰფლობდა ვერის ხეობას, მანგლისის ხეობას, თრიალეთს და ატენის ხეობას ციხით მტკვრის პირამდი. დაიწიენ ბერძნები უკან. ამ დროს განუდგა ბაგრატს შავშეთის ერისთავი ჩანჩუხა, რომელმაც გადასცა ბერძნებს „წეფთის-ციხე“.

ბაგრატს ემხრობიან ეზდრა ანჩელი, არტანუჯის ერისთავი იოანე აბუსერი და მტბევარი ეპისკოპოსი საბა.

ითაკილეს ქვეყნის ესეთი შეურაცხყოფა ამ ღირსეულ პირებმა და აღიმალლეს ხმა მტრების წინააღმდეგ. პირველი იყო ეზდრა ანჩელი; მას მიჰყვა საბა მტბევარი და არტანუჯის ერისთავი იოანე აბუსერი. ამათ ააშენეს ტბეთის მახლობლად ციხე „სვეტი“, (რომელიც დღემდის შეურყეველად დგას). აქ შეკრბენ ქვეყნის ყველა ერთგული და გულ-შემატკივარი და მიეგებენ მტერს. მტერმა იხმარა ყოველი საშვალება აეღო ციხე და მიწასთან გაესწორებინა, მაგრამ ვერც სიმრავლემ, და ვერც ხერხმა ვერ გასჭრა.

ამან გაამხნევა და სული ჩაუდგა სხვა ერისთავებსაც, რომელთაც დიდ სისხლის ღვრის შემდეგ, მოიშორეს თავიდან მტერი. ამის შემდეგ კოსტანტინე გადაიცვალა და ახალმა იმპერატორმა რომანოზ III არგირმა ჩამოაგდო ზავი: დაემოყვრა ბაგრატს: მოსცა თავისი ძმისწული ელენე ცოლად*).

ამ გარემოებამ ცოტათი ფრთა შეაკვეცა მოღალატეებს. გავიდა ხანი. ლიპარიტი და ქართლის ერისთავი იოანე აბაზაძე ურჩევენ მეფეს, გარეკოს ტფილისიდან არაბები და განაძეოს ემირ-ჯაფარი. მეფე უდროულად სთვლიდა მათს ამ გვარ რჩევას და ყურს იყრუებდა. ერისთვებმა თავისი არ დაიშალეს: 1038 წელს გაიტყუეს მუხათ-გვერდს ემირ-ჯაფარი,

---

*) ამის სიკვდილის შემდეგ ბაგრატი ირთავს ოსეთის მთავრის ქალს ბორენას.

ვითომდა სანადიროდ, დაატუსაღეს და მეფეს მოგვარეს. ამავე დროს აიღეს აგრეთვე ბირთვისი და ფარცხისი და მათი კლიტეები მეფეს მოართვეს. მეფემ ვერ შეიწყნარა მათი ამგვარი მოქმედება და ჯაფარი ისევ გაათავისუფლა, როგორც ემირი. ამ გარემოებამ დაბადა დიდი განხეთქილება და შური ერთის მხრით ერისთავებს და მეფის შუა და მეორეს მხრით—ერისთავებს და ჯაფარის შუა.

ამას მოჰყვა ლიპარიტის განდგომა. ეს დიდი დანაკლისი იყო ქვეყნისთვის, რადგან მას ადვილად შეეძლო გამოეყვანა ბრძოლის ველზე 12 ათასი საკუთარი ჯარის კაცი. ახალმა შინაურმა მტერმა მოიწვია ბერძნები. ბერძნებმა გამოგზავნეს ჯარი და თან გამოაყოლეს გიორგი I-ს მეორე შვილი დიმიტრი (რომელიც ჰყავდა ოსის ქალისაგან).

ბერძნის ჯარი შემოვიდა ატენის ხეობაში და მოადგა ატენის ციხეს. ასტყდა ომი. რამდენჯერმე მიიტანეს იერიში, მაგრამ ვერას გახდენ და გაბრუნდენ უკან. ბაგრატი მიჰყვა კვალ-დაკვალ და დაამარცხა. აქედან გადავიდა იმერეთში, დაიბრუნა ეგრისი და შემობრუნდა ქართლში. ამ ომში ლიპარიტს ეხმარებოდენ კახეთის ერისთავები და ბაგრატს—ბეშკენ ჯაყელი (თუხარის ერისთავი) და ფარსმან თმოგველი. ბერძნების გაბრუნებას მოჰყვა ის, რომ ლიპარიტმა თავი მოიხარა მეფის წინ და შეინანა თავისი საქციელი. რაკი ლიპარიტი დაცხრა მცირე ხანს, ბაგრატი გადავიდა კა-

ხეთში და 1038 წელს მიქელ-გაბრიელის მთაზე დაამარცხა პანკისის ერისთავი სტეფანოზი, ხორნაბუჯის (ჭოეთი)—ვაჩე და მაჭის—დაჯე; აქედან გადავიდა თიანეთს და მოსწვა კვირიკე III სასახლე. ამ გვარად შემოუერთა კახეთი ქართლს.

გავიდა მცირე ხანი და მოკვდა ტფილისის ემირი ჯაფარი. ტფილისის ციხის გამგეებმა მისი კლიტე მეფეს მოართვეს, და, დღემდის რომ შიგ არაბები იყო, ეხლა ქართველები ჩადგენ. ამ გარემოებამ გაამხნევა ანის ქალაქიც, რომელმაც თავისი ქალაქი და ცხრა ციხის კლიტე მიართვა ბაგრატს 1040 წელს.

ეს არაფრად ესიამოვნა ლიპარიტს, რადგან ამით ბაგრატი ძლიერდებოდა და ლიპარიტის გავლენა ჭკნებოდა. ამიტომაც განუდგა კიდე და მოიწვია ბერძნები. მოვიდენ ბერძნები და თან მოიყვანეს დიმიტრი. აუარებელი ჯარი მოაწყდა შიდა ქართლს თრიალეთიდან და გაიშალა ომი სასიცოცხლეთს 1048 წ. ეს ომი შესანიშნავია მით, რომ ორჯელ დამარცხდა ქვეყნისთვის თავდადებული ბაგრატი. ამ ომში მოიკლა დიმიტრი.

ლიპარიტის ქუდ-უდრეკელობა ვეღარ მოითმინეს მესხებმა, რომელთაც მოთავეობდა ერისთავები სულა კალმახელი და გრიგოლ არტანუჯელი: დაეცენ გაზვიადებულს და გამედიდურებულს ლიპარიტს, დაიჭირეს და ტყვედ მოჰგვარეს მეფეს 1059 წელს მისი შვილით იოანეთი. ლიპარიტმა ძალა-უნებურად მო-

იდრიკა თავი მეფის წინ, ჩამოვიდა პოლიტიკურ სარ-ბიელიდან და შედგა ბერად. ბერობაში ლიპარიტი იწოდებოდა ანტონად და დიდი ღვაწლიც დასდვა ქართულ მწიგნობრობას. ლიპარიტი გარდაიცვალა 1064 წ. და დასაფლავებულია კაცხს იმერეთში.

ბაგრატის სიყმაწვილის დროს (1036 წელს) მძვინვარებდა დვინის ემირი დიდი ფადლონი (ემი-რი აბუ-სევერი), რომელსაც ებრძვიან ჯერ კიდე ერთ-გული ლიპარიტი და ქართლის ერისთავი იოანე აბა-ზაძე და იმორჩილებენ.

ბაგრატის დროს შენდება: აშურიანი 1032 წ. (შიდა-ქართლშია), ატენის სიონი, ერედვის ტაძარი 1032 წ. (შიდა-ქართლშია), ზედა-თმოგვის ტაძარი, კაცხი, ნიკორწმინდა, სამთავისი, წყაროს-თავი (კარწა-ხის ტბასთან), ჯვარის-მონასტერი იერუსალიმში. მისვე დროს ბრწყინვენ კათალიკოსები: მელიქსედეკ, გი-ორგი ტაოელი, გაბრიელ საფარელი. მათრგმნელები: იოანე ანუ ილარიონ თვალელი, გიორგი დაყუდე-ბული, გიორგი მთაწმინდელი (1014—1065), გიორგი ოლთისელი, პეტრიწი ფილოსოფოსი.

ბაგრატის დროს გამოჩდენ აზიაში თურქები, რომელთაც მოთავეობდა უშიშარი და ახოვანი მხე-დართ-მთავარი სელჯუკი, რომელმაც შემდეგში თა-ვისი სახელი ამ თურქებს გადასცა და მის შემდეგ ისინი იწოდებიან „თურქად—სელჯუკებად“. სელ-ჯუკის შვილი-შვილმა თოღრილმა წაართვა ბერძ-ნებს მფლობელობა აზიაში 1048 წელს. აქედან

თოღრილი დაეშვა მესოპოტამიაში, აიღო არაბების სატახტო ქალაქი ბაღდადი და თავის თავი ხალიფეების*) მბრძანებელად გამოაცხადა. ამ გვარად გააგრცელეს არაბებმა თავისი ბატონობა არხიპელაგიდან ბოსფორამდე. გაიარა არა-ბევრმა ხანმა. მოვიდა 500 ათასი კაცით სელჯუკების სულთანი (მეფეთ-მეფე) არპ-არსლანი (არფასარი) სელჯუკი, რომელმაც აიღო თრიალეთი, ტაო, შავშეთი, კლარჯეთი, თორი 1064 წ. გამოიარა ალბანია და შემოვიდა ივერიაში. ცეცხლით და მახვილით გადალახა ეს მხარე და გამაძღარი ქართველების სისხლით, დაბრუნდა უკან.—ამ უბედურების დროს კახელები ზოგი ბაგრატის მომხრე იყო და თვითონ კახეთის მთავარი აღსართან I კი—მტრის. ვერ შებედა ომი ამ ურიცხვ ურდოს ბაგრატმა და შედგა. მაგრამ, როგორც კი გაბრუნდა მტერი, გადაიჭრა კახეთისკენ, დაამარცხა აღსართანი და ყველა ციხე-სიმაგრეები ჩამოართვა.

1069 წელს კიდევ ეწვია უბედურება ქვეყანას:

მეორედ შემოვიდა არპ-არსლანი. აღსართანი I მაშინვე მიეგება მას და მორჩილობა განუცხადა. მაგრამ, რადგან იცოდა, ამას ბაგრატი არ შეარჩენდა, მაჰმადიანობა მიიღო და ამით განიმტკიცა თავისი ერთგულობა მტერთან. მტერმა მიიღო ეს მხედველობაში. და ბაგრატისგან წართმეული ციხე-სიმაგრე-

*) ხალიფა ნიშნავს მაჰმადის მემკვიდრეს.

ბი ყველა დაუბრუნა. ქართლიდან მტარვალი გადავიდა იმერეთისკენ და მიატანა „სვერს“ (სვირი) ოთხშაბათს 10 დეკემბერს 1069 წელს, მაგრამ მკაცრმა ზამთარმა უკან დააბრუნა.

მეფე გიორგი II ბაგრატის ძე (1072—1089)

გადაიცვალა თუ არა ბაგრატი, მაშინვე განუდგენ ქვეყანას იოანე ლიპარტის-ძე და მისი შვილი ლიპარტი. შეთქმულებმა გაინაწილეს ასპარეზი. იოანე ერისთავი, რომელსაც მიემხრენ კახელები, დადგა ქსანზე. ნიანია ქვაბულისძემ ჩაიგდო ხელში ქუთაისი და სვანეთის ერისთავმა ვარდანმა ააოხრა სამეგრელო. გიორგიმ ყველა დაამშვიდა, დააწყნარა და ყველას აპატია. იოანეს მისცა სამშკილდე, მის შვილს ლიპარიტს—ლოწობანი, ნიანიას—თმოგვი, ვარდანს—ასკალანი და კახელებს—რუსთავი. მეფის სულგრძელებამ არ იმოქმედა მეამბოხეებზე: ისევ განუდგა მეფეს იოანე. მას მიემხრო ჩვეულებრივ კახეთის მეფე აღსართან I. გიორგიმ მეორედაც რგოლში გააძვრინა მეამბოხეები და, დიდ ფიცის შემდეგ, ისევ აპატივა, მაგრამ მაინც კიდე არ მოისვენა იოანემ და მესამედ აუჯანყდა: თან ციხე ჯაგი მიჰყიდა განძის ემირს ფადლონს. მესამედაც დამარცხდა გიორგისგან იოანე, მაგრამ მაინც კიდე არ დაცხრა მოუსვენარი იოანე. ამ ხანაში შემოდიან საქართველოში მესამედ თურქები-სელჯუკები 1080 წ. 24 ივნისში.

ამით ისარგებლებენ მამა და შვილი—იოანე და ლიპარიტი, რომელთაც მოწყალის თვალით შეხედა მელიქ-შამ.—თურქების საშინელ ურდოს (500 ათას კაცს) წინა უძღვის არპ-არსლანის შვილი მელიქ-შა. მელიქ-შა აიღებს სამშვილდეს და დაარბევს ქართლს. აიღებს აგრეთვე, განძას და იქ გამგედ დაადგენს სარანგს, რომელსიც მისცემს ჯარს, ჩვენდა შესაწუხებლად, და დაბრუნდება უკან. როგორც კი მელიქ-შა წავიდა, გიორგიმ შემოიკრიბა ჯარი, შეებრძოლა სარანგს ფარცხისთან და საოცრად დაამარცხა. ამ გამარჯვებას მოჰყვა ის, რომ ჩვენს ქვეყანას შემოუერთდა ჯავახეთი, კარისი, კარნუ-ქალაქი (აზრუმი) და კლარჯეთი. ამ შემოერთების მიზეზი, სხვათა შორის, იყო გრიგოლ ბაკურ.ს-ძე ტაოელი, რომელიც განაგებდა ოლთისს, კარნუ-ქალაქს და კარისს. ამავე დროს შემოიერთა გიორგიმ ანაკოფია, ანუ ნიკოფსია, ციხე-დიდი*) და ეგრისი ენგურამდის. ეს მოხდა იმის გამო, რომ ბერძნები ამ დროს მისუსტებული იყვენ. ამ გარემოებამ კიდევ უფრო გააბრაზა თურქები ქართველობაზე, მაგრამ ჯერ დაეტაკენ ბერძნებს და აზიიდან გარეკეს. მერე შემოტრიალდენ საქართველოსკენ და იწყეს რბევა: დაჰსწვეს არტაანი, კლარჯეთის უდაბნოები, ქუთაისი, ჭყონდიდი; მთელი ქართლი ნაცრად აქციეს. ეხლა მათ წინამძღოლობდა ძლიერი აჰმად 400 ათასი

*) აფხაზეთში იყო.

კაცით. შიშის ზარი დაეცა ქვეყანას! შემოდიოდენ ყოველ გაზაფხულზე და მიდიოდენ შემოდგომაზე! ვერ წინააღუდგა მათ აუარებელ რიცხვს ქართველობა. ქვეყანა გაველდა! გაწყდა ერი, გატყევდა მთა და ბარი. გადარჩენილ მცხოვრებლებმა მთას, კლდეს და ტყეს მისცეს თავი. მტარვალებმა ეკლესიები პირუტყვების საბმელად გახადეს! ამგვარ მდგომარეობაში მყოფმა, იმედ მიღებულმა გიორგიმ გადასწყვიტა წასულიყო მელიქ-შასთან ისპაანს და ქვეყანა შეებრალებინა. მისული ისპაანს გიორგი, დიდის პატივის ცემით მიიღო მელიქ-შამ და ყოველი თხოვნა აუხრულა, მაგრამ ხარკი კი მოითხოვა.

მეფე დავით II გიორგის ძე აღმაშენებელი (1089—1125) **)

დავითი რომ ტახტზე ავიდა, მთელი სამხრეთ-საქართველო, რუსთავი და სამშვილდე თურქების ხელში იყო და ტფილისის ციხეებში ბატონობდა მათი გარნიზონი. მისი სამეფო შეიცავდა მაშინ ეხლანდელ გორის მაზრას და ცხოვრობდა ს. წაღვლში. დავითს ზრდიდა ანტონ ჭყონდიდელი და შემდეგ სწავლა-მეცნიერებაში განავითარა არსენ იყალთოელ-

**) დავითს ყავდა ცოლად ყივჩაყეთის მეფის ასული (ათრაქა შარაგანისძის) გურანდუხტი. იმავე მეფის ქალი ყავდა ცოლად რუსეთის მთავარს სვიატოპოლკ იზიასლავისძეს (1093—1113).

მა. მათის მეოხებით ის შეიქნა თითქმის ყველა საქმის ინიციატორი და ამსრულებელიც. იყო სავსე ენერგიით, ჭკუით და მაღალ-ზნეობით აღჭურვილი. ამ დროს ერისთავი ლიპარიტ IV (ამ დროდან იწოდებიან ორბელიანებად) არ ემორჩილება მეფეს, რადგან ეს უკანასკნელი მცირე წლოვანი იყო (16 წლის იყო მაშინ დავითი). მცირე წლოვანებით კი ისარგებლა ლიპარიტმა, მაგრამ ძვირად დაუჯდა აგეთი თვითმნებელობა: მეფემ დაამარცხა, შეიპყრა, ორი წელიწადი დაპატიმრებული ჰყავდა და მერე გაათავისუფლა. მაგრამ მეფის სულგრძელება და პატივება ვერ შეიშნო ქვეყნის მოღალატემ: კიდე განუდგა. მეორედაც დაამარცხა დავითმა მოღალატე, დაიჭირა და საბერძნეთისკენ გადაკარგა.

მისი შვილი რატიც მამის კვალს დაადგა, მაგრამ მალე მოკვდა და, ამ გვარად, მოისპო ქვეყნის მოღალატე **ბაღვაშების** სახლი.

ამ დროს კახეთში მეფობს კვირიკე IV (1084—1102). დავითი დიდი ხანია ფიქრობს საქართველოს გაერთიანებას, ამიტომაც დაეცემა კახეთის მეფეს 1101 წელს, დაამარცხებს და ზედაზნის ციხეს წაართმევს. მოკვდა კვირიკე. მისმა მემკვიდრემ აღსართან II, (ძმის წული იყო კვირიკეს) უზნეომ და ხასიათით დაც ემულმა, რბევა და ოხრება დაუწყო ქართლს. რადგან ბევრი კახელთაგანიც ამ დროს დავითის წადილის იყო, სურდათ შემოერთება, — დავითისავე გავლენით,—დაიჭირეს აღსართანი და დატყვევებული მო-

გვარეს დავითს. 1105 წ. გადაიცვალა აღსართანი და კახეთი დავითმა შემოუერთა ქართლს.

არ დაიძინეს აღსართანის მომხრე კახელებმა და განძის ჯმირს მიმართეს თხოვნით, მაგრამ დავითმა ემირიც დაამარცხა და ისიც თავისი მოხარკე გახადა.

დავითის დროსაც თურქები სელჯუკები ამოდიან ქვემოდან და რჩებიან გაზაფხულამდის იორიდან ციღომამდის. ზაფხულში კი აბოცის (ყარსის) მხარეს მიეშურებიან. ამ გვარმა მათმა წანწალმა აბორგა მთელი ქვეყანა. დავითიც ცდილობდა მათი ეგეთი თვითმნებელობა რამენაირად შეეკვეცა სამუდამოდ. ამიტომაც დააწესა როქით*) სპა. გადმოიყვანა ოსები და ყივჩაყები**), დაჰყო მწყობრებად; ყოველ მწყობრს უჩინა მოთავე და ამ გაწვრთნილ ჯარებით გაამრავლა ქართველების რაზმი. ესე დამზადებული ეკვეთა მტერს 1110 წელს და წაართვა სამშვილდე. ამ ომში თავი ისახელეს გიორგი ჭყონდიდლის ძმის წულმა თევდორემ, აბულეთმა და იოანე ორბელიანმა.

1115 წ. აიღო გიორგი ჭყონდიდელმა რუსთავი, 1117 წელს—გიშის ციხე (კახეთშია); მეფემ დაამარცხა ხლათის ემირის სეკმანის ჯარი. სამწუხაროდ, 1118 წ. ზემო-ქართლში დაამარცხეს თურქებმა ბეშკენ ჯაყელი და მოკლეს; გამოუდგა დავითი, მოსწვდა მათ

---

*) ჯამაგირი.

**) „პოლოვცები“.

არაქსის ნაპირზე, დაამარცხა, გაფანტა და აქედან შემობრუნებულმა აიღო ლორე და აგარაკის ციხეები. ამდენ გამარჯვებას მოჰყვა ის, რომ დავითმა შემოიერთა 1120 წელს ბასიანი, ბარდა, კოლა, არტანი, ჯავახეთი, ოლთისი და კლარჯეთი.

გაფანტა თურქები ბასიანიდან (არაქსის ზემო წელი) კარნიფორამდის (აზრუმია). აქედან ხმალამოღებული შემოვლო არეზის მარცხენა ნაპირი და ყველგან, სადაც კი მათ ურდოს შეხვდა, მუსრი გაავლო. 1120 წელსვე შემოიერთა ყაბალა (შირვანის ქალაქია) და ქალაქი ბარდა. აქედან გადავიდა დავითი ეგრისში და იქაც მუნებური საქმეები წესზე დააყენა.

ამ გვარად, შეაერთა დავითმა და აღადგინა საქართველოს ძველი საზღვრები კასპიიდან შავზღვამდის.

ამ ძლევა მოსილმა მეფემ და მისმა გამარჯვებამ მთელი მაშინდელი მაჰმადიანობა ააყაყანა, განსაკუთრებით — თურქები. წამოვიდა 1121*) წელს საქართველოზე 400 ათასი თურქი. მათ წინამძღოლობს მელიქ-შას შვილის თაფარის ძე ილგაზი. მტრის ჯარი მოვიდა და გაიშალა მანგლისს, თრიალეთს და დიდ-გორს 18 აგვისტოს.

დავითს ჰყავდა 40 ათასი ქართველი ჯარი, 15 ათასი ყივჩაყი და 5 ათასი მთიული. ეკვეთენ ერთ-

---

*) ბროსსე უჩვენებს 1122 წელს.

მანეთს. მათი კიჟინი, ხმლის ტკრციალი და ცხენების ქაქანი ზეცამდის ადიოდაო, ამბობს თანამედროვე. ცხენების ფეხების ცემით თითქო მიწა ზანზარებდაო.

დასცა თავისი ლომებური კიჟინა ხმალ-ამოღებულმა დავითმა და საკვირველად დაამარცხა მტერი. ამ ომში მოიკლა თვითონ ილგაზი. დარეტიანებულმა ჯარმა, სარდალს რომ ველარ ხედავდა, იბრუნა პირი და გაიქცა*).

ამ გარემოებას, ცოტა არ იყოს, ხელს უწყობდა შემდეგი ფაქტები: ევროპაში მაშინ დაიწყო საჯვაროსნო ომი. შეერთებულ მეფეების ჯარი ევროპიდან შევიდა 1096 წ. კონსტანტინოპოლში; 1098 წ. დაიწირა ანტიოქია და 1099 წელს—იერუსალიმი.

1122 იერიშით მივიდა ტფილისზე დავითი და აიღო. ბენიჯაფარმა (ტფილისის ციხის მცველმა) ძლივს თავს უშველა.

1123 წ. დაიპყრა შირვანი და ანი, საიდანაც გამოიყვანა დატყვევებული ემირი აბულ-სეევრი შარვანშა, რომლისგან მომდინარეობენ აფხაზეთის შარვაშიძეები. 1124 წელს გამოგლიჯა ხელიდან მტერს დმანისი.

ამ დროდან თურქები ველარ ბედვენ საქართველოს საზღვრების შერევას. ამ დიდებულ საქმეში მხარს აძლევდენ მეფეს იოანე კათალიკოსი, ბეშკენ

*) ამ ომში თურქებს ეხმარებოდენ შირვანელები.

ჯაყელი, თევდორე, აბულეთი, იოანე III ორბელიანი და მეფის გამზრდელი გიორგი ჭყონდიდელი. როდესაც კი გარეშე მტრებისგან მოიცლიდა დავითი, მაშინვე შინაგან საქმეს მოჰკიდებდა ხელს. 1103 წელს მან მოახდინა საეკლესიო კრება. ამ კრების *) ძალით მან მოაშორა ეკლესიას უვარგისი პირები და ღირსეული დაუნიშნა. ეკლესიებთან დააარსა სკოლები, რომელთ საშვალებით იფინებოდა სწავლა.

ისეთი სახელი გაითქვა დავითის დროს საქართველომ, რომ მარტო ქართველობას შეეძლო შესვლა თავისუფლად იერუსალიმში გაშლილ დროშით. და ეს ძალა და პატივისცემა შერჩათ ქართველობას მეჩვიდმეტე საუკუნის დასასრულამდე.

მაშინდელმა ბიზანტიის და არაბების ლიტერატურამ ისეთი დიდი ზედ გავლენა იქონია ჩვენს მწერლობაზე, რომ სრულიად დაჩრდილა ევროპა. მეტად განვითარდა არაბების ბუნების მეცნიერება, ასტრონომია, ისტორია ფილოლოგია, რჯულის შესწავლა და მათემათიკა. მათ სკოლებს ეხლაც განცვიფრებაში მოჰყავს ევროპიელი.

მათის მიხედვით დავითმაც დააარსა ორგვარი სასწავლებელი: მაღალი და დაბალი. დაბალი სასწავლებელი იყო ყოველ ეკლესიასთან **), მაღალი კი — სამ ადგილას: გრემს, იყალთოს და ტფილისში.

---

*) თავ-მჯდომარე იყო იოანე კათალიკოსი.

**) მცხეთაში, გარეჯაში, გელათში, მარტვილში, ოპიზაში, საფარაში, ტბეთში; აგეთივე სასწავლებლები გაიხსნა ათონის მთაზე, იერუსალიმში და სინას მთაზე.

გრემის აკადემია დააარსა იოანე ჭირჭიმელმა (პეტრიწად წოდებულმა), რომელიც ითვლებოდა იმავე დროს სასწავლებლის უფროს პროფესორად,

იყალთოს აკადემიას განაგებდა არსენი იყალთოელი და ტფილისისას—გიორგი ჭყონდიდელი.

ამ სასწავლებლებში ასწავლიდენ ღვთის მეტყველებას, ფილოსოფიას, კლასიკურ ლიტერატურას და არაბულ-ბერძნულ ენებს.

აქ სწავლა-დამთავრებულს გზაგნიდენ სათინაში ორმოც კაცამდის. თუმცა სწავლა სხოლასტიური (ეკლესიური) იყო, მაგრამ პლატონ ფილოსოფოსს და არისტოტელს მაინც გატაცებით სწავლობდენ და ითვისებდენ. ისინი შეიქნენ ახალგაზდობის სათაყვანებელი მწერლები. ისეთი ფრთა შეესხა მაშინ სწავლამ ჩვენში, რომ ტფილისში დაარსდა ასტრონომიული ობსერვატორია.

მაშინდელი მწერლები იყვნენ:

იოანე ჭირჭიმელი (პეტრიწი), რომელმაც დასწერა გრამმატიკა; გადმოთარგმნა პროკლე დიოდოხოსის „ორგანონ“ („კავშირნი“), იოსებ ფლავიოსი, კლემაკსი ათონელ სინაიტელისა, იოანე ოქროპირი, მარკოზის სახარების განმარტება.

არსენი იყალთოელი იყო აღზრდილი ჯვარის მონასტერში იერუსალიმში. ის ასწავლიდა იყალთოში ფილოსოფიას; თარგმნა იოანე დამასკელის „ოქროს ნეკტარი“ მწვალებლების წინააღმდეგ; მანვე შეადგინა „ძეგლის წერა“ და „გარეჯის მამათა ცხოვრება“ და მრავ. სხვა.

იოანე ტარიელის-ძე იყო ფილოსოფოსი, მეცნიერი და ბედოგოგი. მან თარგმნა ბორფირის «შეუვანიდება», იოანე დამასკელის კატედორია», «დიალექტიკა», ეპიფანე კვიპრელის «თორმეტ ქვათათვის» და სხ.

ეფრემ მცირე იყო სამცხიდან და იზრდებოდა იოანე ჭირჭიმელთან და მის ხელმძღვანელობის ქვეშ. მან დაწერა: გრამმატიკა, «უწყება მიზეზისა ქართველთა მოქცევისათვის, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიხსენების» (მან ეს კამოკრიბა ბერძნების ისტორიკოსის თეოდორიტისგან) *), სთარგმნა გრიგოლ ღვთის მეტყველის სიტყვანი, ცხოვრება და წამება მრავალთა წმიდათა, ფსალმუნთა განმარტება, მეექვსე მსოფლიო კრების სჯულის კანონი; დიონოსი არიოპაგელის «ზეცის იერარქიასათვის» და წმიდა კასიანეს სიტყვანი.

თეოფილე ფილოსოფოსი იყო გიორგი მთაწმინდელის ადზრდილი. ისეთი შესანიშნავი ღვთის მეტყველი შეიქნა დავითის დროს თეოფილე კოსტანტინოპოლში, რომ ტარსის მიტროპოლიტობა მისცეს. ამან სთარგმნა ილარიონ კახელის ცხოვრება. დაუარსა კახეთში ლადათ და მამათ მონასტერი, გაუშენიერა გარეჯა და გადაიცვალა თესალონიკეში. იმპერატორმა ვასილ მაკედონელმა დიდის პატივით გადმოასვენა კოსტანტინეპოლს და დაკრძალა მისი გვამი ქართველთ მონასტერში

*) ამაზე უწინ შეადგინა ქართლის-ცხოვრება არსენ კათალიკოსმა მეათე საუკუნეში, მაგრამ ეფრემმა მიაქცია უფრო ვრცელი ყურადღება საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებას.

«რომანიაში». შეადგინა რამდენიმე კანონი ქართულ წმიდათა სადიდებლად.

დავითის დროს ცხოვრობდა პოეტი ძაგნაკორელი, რომელმაც შემოიღო „ძაგნაკორული“*) ლექსი.

თვითონ დავითმა დასწერა „გალობა სინანულისა“, რომლის ძლიერება მოგვაგონებს დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნებს.

„ანდერძში“ დავითი მოგვითხრობს, თუ როგორ გააერთიანა სამშობლო გურგანიდან შავ-ზღვამდი და რომელ ეკლესიას და მონასტერს რა შესწირა თავის სულის საოხად.

მის დროსვეა დაწერილი „ძეგლის წერა“, რომელშიაც ნაამბობია, თუ როგორ გავრცელდა სახარება ქვეყანაზე და როგორ შემოვიდა ანდრია მოციქულის და წმ. ნინოს დროს (მირიანის მეფობაში) საქართველოში ქრისტიანობა. შემდეგ ლაპარაკობს „მსოფლიო კრებებზე“, თუ რისთვის იყო ეს კრებები. მერე ამბობს, თუ ჩვენმა კრებებმა რა შემოიტანა წესდებად.

ამას გარდა დავითმა საჭიროდ დაინახა სასულიერო წოდება ყოველ გვარ გადასახადისაგან განეთავისუფლებინა, რომ უფრო ერთგულად და მტკიცედ მსახურებოდენ თავის დანიშნულებას.

---

*) ოც-მარცვლოვანი ლექსია, სადაც ბეათე მარცვალი შეეწყობა მეოცეს.

გამოიყვანა მეფემ კლდე-ღრეში შემალული ხალხი და ბარად გაშალა. დააარსა ქ. გორი. აშენებდა ქსენონებს და სახლებს გლახაკებისათვის და ობლებისათვის. ააშენა სინას მთაზე მონასტერი წმ. ეკატერინესი, სულემის მონასტერი ტრაპიზონის პირდაპირ და განაახლა შიო და გელათი.

მის სასიქადულო მოღვაწეობისათვის ეკლესიამ ის წმიდად შერაცხა და მის ხსენებას დღესასწაულობს 26 იანვარს. გადაიცვალა დავით 24 იანვარს, შაბათს და დასაფლავებულია გელათში „კარის-ეკლესიაში".

დავითის დროს შემოდის ხმარებაში სიტყვა «ამერიმერნი».

წინასიტყვაობის მაგიერ

განვიზრახეთ რა „კონსპექტის“ გამოცემა, ჩვენ სახეში გვქონდა შეგვემსუბუქებინა ახალ-მოზარდისთვის გაჭირვებული მდგომარეობა, რომელშიაც ის არის დღეს ჩავარდნილი სამშობლო ისტორიის შესწავლის დროს: მას არა აქვს დაბალ კლასებისთვის ისეთი მოკლე სახელმძღვანელო საქართველოს ისტორიიდან, საიდანაც ადვილად შეეძლოს ეპიზოდიურად შეისწავლოს ჩვენი წარსული.

იქნება ეს „კონსპექტი“-ც ვერ აკმაყოფილებს სრულიად ჩვენს განზრახვას, მაგრამ, თუ წარმოვიდგენთ, რა სიჩქარით არის შედგენილი—ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო—წინმდებარე წიგნაკი, მკითხველი აღარ დაგვემდურება ერთობ და ნაკლსაც გვაპატიებს ამ ჟამად.

„მეორე რვეულში“ იქნება მოთავსებული შემდეგი კურსი დავით აღმაშენებელის გადაცვალებიდან მეთვრამეტე საუკუნის დასასრულამდე.

რაც შეეხება აკადემიურ შრიფტით დაბეჭდილს, იმას უფრო მასწავლებლისთვის აქვს მნიშვნელობა, ვინემ მოზარდისთვის, მაგრამ, თუ მასწავლებელი საჭიროდ დაინახავს, ზოგი ცნობა იქიდანაც შეუძლია შეიტანოს კურსში.

ხრ. ქუთათელაძე

10 მაისი, 1900 წ.